სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ქეთევან შანშიაშვილი

მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გიორგი გიორგაძე

ასოცირებული პროფესორი

გორი

2021

ანოტაცია

თანამედროვე პოლიტიკური სისტემის ცენტრალური ფიგურა მოქალაქეა, რამდენადაც ის აფუძნებს სახელმწიფოს, მონაწილეობს მართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ქვეყნის კონსტიტუცია განსაზღვრავს მოქალაქის სტატუსს, უფლებებსა და მოვალეობებს, რომლის განხორციელება მას კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე შეუძლია.

მოქალაქის ჩართულობის ხარისხი დიდ წილად განსაზღვრავს, თუ რამდენად ახდენს ის სახელმწიფოსთან იდენტიფიცირებას და პირიქითაც, სახელმწიფოსთან მიკუთვნებულობის განწყობა ზეგავლენას ახდენს მოქალაქეთა ჩართულობის მაჩვენებელზე, როგორიც არის მაგალითად, საქართველოში კომპაქტურად მოსახლე ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში. ამასთანავე, დღესდღეობით სახელმწიფო პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულობის ერთ-ერთი უმთავრესი ინდიკატორი გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მაღალი ხარისხია.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებია: 1. დასახლების საერთო კრება; 2. პეტიცია; 3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო; 4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა; 5. მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა- მუნიციპალიტეტის მერი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულნი არიან, წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული წესით მოაწყონ საჯარო

შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ამ კანონით განსაზღვრული ფორმების გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

Abstract

The central figure of the modern political system is the citizen, insofar as he/she establishes the state, participates in the management and decision-making process. The constitution of a country defines the status, rights, and duties of a citizen, which he/she can exercise in the territory of a particular country.

The degree of citizen involvement largely determines how well he or she identifies with the state, and conversely, the attitude of belonging to the state influences the degree of citizen involvement, as, for example, it occurs with ethnic minorities in Georgia. At the same time, one of the main indicators of the democracy of the state political system today is the high degree of citizen involvement in the decision-making and fulfillment process.

The forms of citizen participation in the local self-government process are the following: 1. General Assembly of the settlement; 2. Petition; 3. Civic Advisory Board; 4. Participation in the sessions of the Municipality City Assembly and the Municipality City Assembly Commission; 5. Attending to the reports on the work done by the Mayor of the Municipality and a member of the Municipality City Assembly. The Mayor of the Municipality and the member of the Municipality City Assembly are obliged to hold public meetings with the voters of the Municipality at least once a year, no later than November 1, in accordance with the relevant resolution of the Municipality City Assembly, and present them a report on the work done, answer the questions asked by the voters of the Municipality during the review of the report.

In addition to the forms of citizen participation in the local self-government process defined by the law, the Municipality is authorized to determine other forms of citizen participation in the local self-government process in accordance with a relevant administrative-legal act, which do not contradict the legislation of Georgia.

შინაარსი

შესავალი

I. თავი ადგილობრივი თვითმმართველობის არსი ---------- **8**

1.1 ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელობა ---------- 8

1.2 ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბების ისტორია საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ---------- 11

1.3 ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა, ხარვეზები, გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები ---------- 18

II. თავი მოქალაქის როლი საზოგადოებაში ---------- 23

2.1 მოქალაქის უფლებები, მოვალეობები,პასუხისმგებლობა ---------- 23

2.2 სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო ---------- 30

2.3 აქტიური მოქალაქეობა ---------- 36

III. თავი ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობები ---------- 43

3.1 მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგიები და შესაძლებლობები ---------- 43

3.2 მოქალაქეთა ჩართულობის ახალი ტიპოლოგია ---------- 57

3.3 მოქალაქეთა ჩართულობა (ქ.გორის მუნიციპალიტეტის მაგალითზე) ---------- 64

დასკვნა ---------- **70**

გამოყენებული ლიტერატურა ----------**71**

შესავალი

ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემები ადგილობრივმა მოსახლეობამ უკეთ იცის და მათი გამოსწორების გზების ძიებაც რა თქმა უნდა უფრო იოლია. ამის გარდა, კარგია რომ მოსახლეობას აქვს საშუალება თავისივე არჩეული ხელისუფლების გადაწყვეტილებები და შესრულებული სამუშაო გააკონტროლოს, თუნდაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის კუთხით. რის საშუალებასაც მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები და სხვა დამატებითი ფორმები იძლევა.

საკვლევი თემის მეცნიერული სიახლე:

მოქალაქეთა ჩართულობის ახალი ფორმები:

1. ელექტრონული პეტიცია;

2. კომპიუტერული პროგრამების დანერგვა, მისი მორგება სმარტფონების ოპერაციულ სისტემებზე, სადაც ინტეგრირებული იქნება გამოკითხვები საბიუჯეტო პრიორიტეტებზე, პროგრამებზე, ქვეპროგრამებსა და ღონისძიებების დაგეგმვაზე;

3. დასახლების საერთო კრების ციფრული პლატფორმა.

საკვლევი თემის აქტუალობა: თანამედროვე სახელმწიფოს ფუნდამეტური ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანა უკეთეს საცხოვრებელ ადგილად იქცეს ყველასთვის - სადაც ყველას ექნება რეალური როლი და მოქმედების ასპარეზი საკუთარ თემში; ყველა იქნება დაცული და უფლებამოსილი და ეცოდინებათ, რომ პიროვნება ფასდება საზოგადოების განვითარებაში საკუთარი განსაკუთრებული წვლილისა და უნიკალური ადამიანური ღირსების გამო.

საკვლევი თემის პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორიცაა: ადგილობრივი თვითმმართველობის არსი, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების წარსული გამოცდილება, მოქალაქის როლი სამოქალაქო საზოგადოებაში, მოქალაქეების უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა, მოქალაქეების ჩართულობის შესაძლებლობები, არსებული კანონმდებლობა, სამომავლო პერსპექტივები და გამოწვევები. რაც საშუალებას გვაძლევს პრაქტიკულად გავაანალიზოთ, რომ სწორედ მოქალაქეთა ჩართულობაა უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობასა და განვითარებისთვის.

I თავი. ადგილობრივი თვითმმართველობის არსი

&1.1 ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელობა

ადგილობრივ თვითმმართველობას განსაკუთრებული ადგილი უკავია მმართველობის სისტემაში, რადგან იგი წარმოადგენს მოსახლეობასთან ყველაზე ახლო მდგომ ხელისუფლებას. სწორედ აქ არის ის მოკლე დისტანცია ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის, რომლის გადალახვაც დემოკრატიული პროცესების განვთარებისა და თვითმმართველობის რეფორმის უმთავრესი მიზანია. ადგილობრივი თვითმმართველობა, თავის სახელწოდებაშივე გულისხმობს ადგილობრივ (ტერიტორიულ)

თვითორგანიზებულობას, ანუ მოსახლეობის განმსაზღვრელ როლს მმართველობით საქმიანობაში.[1]

საქართველოს კონსტიტუცია პრეამბულაშივე განსაზღვრავს, რომ საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო. ამ ჩანაწერს რომ ხორცი შეესხას, ბუნებრივია, საჭიოა შესაბამისი დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა და სწორედ ასეთი ინსტიტუტთაგანია ადგილობრივი თვითმმართველობა.

თვითმმართველობის ამოსავალი, სუბსიდიარობის პრინციპი მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ საჯარო უფლებამოსილებები, უპირატესად უნდა განახორციელოს ხელისუფლებამ, რომელიც ყველაზე ახლოს დგას მოქალაქესთან. სხვა ხელისუფლებისთვის უფლებამოსილების მიკუთვნება უნდა განხორციელდეს უფლებამოსილების ბუნების, ეფექტიანობისა და ეკონომიურობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

სრულყოფილი დემოკრატიული საზოგადოების შექმნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს გონივრულ ფარგლებში ხელისუფლების როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ გამიჯვნას. სახელმწიფო მმართველობის დეცენტრალიზაცია, რაც გულისხმობს თვითმმართველი ერთეულისათვის უფლებამოსილებებისა და შესაბამისი რესურსების გადაცემას იდეალურ შემთხვევაში, ერთი მხრივ, ცალკეული ქალაქის, დაბის, სოფლის თითოეული მცოვრებისათვის- ღირსეული ცხოვრების უფლების გარანტიაა, მეორე მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების „ყოფითი“ პრობლემების მოგვარებისაგან განთავისუფლებისა და ზოგადსახელმწიფოებრივ საკითხებზე კონცენტრაციის საშუალება.

[1] შავლაშვილი ლ, (2016), (რედ) სიმონიშვილი ი, სამაგიდო წიგნი საკრებულოს წევრებისათვის გვ.9, მოძიებული (18.04.21), თბილისი. https://civilin.org/pdf/sakrebulo.pdf;

ის რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მოქალაქეების უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული და ის რომ ამ ინსტიტუტის მთავარ მამოძრავებელ ბირთვს ისევ და ისევ, მოქალაქეები წარმოადგენენ კარგად ჩანს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-2 მუხლის დეფინიციაში: „ადგილობრივი თვითმმართველობა არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქრთველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები“. იგივე აზრი, მცირეოდენი ცვლილებებით, ჩადებულია საქრთველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის მე-3 მუხლის 1-ლ, პუნქტში.[2]

ზემოაღნიშნული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მნიშვნელოვანია, რადგან:

1. ადგილობრივი საჭიროებები ყველაზე უფრო ახლოსაა და ამიტომ, ყველაზე მეტად გასაგებია ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რომელიც ირჩევს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, მონაწილეობს თვითმმართველობის განხორციელებაში და ყველაზე მეტად არის დაინტერესებული ადგილობრივი თვითმმმართველობის ორგანოების საქმიანობის წარმატებით;

[2] პირველაშვილი ნ, (2017), ადგილობრივი თვითმმართველობის უმთავრესი პრობლემები საქართველოში გვ.10-19, მოძიებული (18.04.21). https://civicuscela.wordpress.com/2017/04/09/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94/;

2.ადგილობრივი თვითმმართველობა ავითარებს მოქალაქეთა თვითორგანიზებას, სამოქალაქო პასუხისმგებლობას და ხელს უწყობს საზოგადოების დაწინაურებას. მოქალაქეები ეჩვევიან საკუთარი ძალებით პრობლემების გადაწყვეტას და აღარ არიან მთავრობის „წყალობის“ მომლოდინენი;

3.ადგილობრივი თვითმმართველობა არის მართვის დეცენტრალიზებული ფორმა. ამიტომ, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კონცენტრაცია არ ხდება მხოლოდ ერთ ცენტრში. თვითმმართველობის შემთხვევაში საზოგადოებრივი ცხოვრება თანაბრად ვითარდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. იგი ერთნაირად დინამიკურია როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებში;

4.ადგილობრივი თვითმმართველობა ერთმანეთთან აკავშირებს ხელისუფლებასა და მოსახლეობას. მოქალაქეებს კერძო, პირად ინტერესებთან ერთად უვითარდებათ და უყალიბდებათ საერთო ინტერესები, რაც განაპირობებს იმაას, რომ მოქალაქეები ისევე ზრუნავენ ამ საერთო პრობლემებზე, როგორც საკუთარ პრობლემებზე.[3]

&1.2 ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ

ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1991 წლიდან) 1991 წლის 30 აპრილს

[3] შავლაშვილი ლ, (2016), (რედ) სიმონიშვილი ი, სამაგიდო წიგნი საკრებულოს წევრებისათვის გვ.10, მოძიებული (18.04.21), თბილისი. https://civilin.org/pdf/sakrebulo.pdf;

საქართველოს თითქმის ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში პირდაპირი კენჭისყრით არჩეულ იქნა სოფლის, თემის, დაბის და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების საკრებულოები. შემდგომ, საფეხურებრივი სისტემით, ამ საკრებულოებმა აირჩიეს რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების საკრებულოები. შენარჩუნდა ადგილობრივი მმართველობის ვერტიკალი: რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებს - პრეფექტებს ნიშნავდა რესპუბლიკის პრეზიდენტი. 1992 წლის დასაწყისში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ სამხედრო საბჭოს პირველივე აქტებით მოხდა პრეზიდენტისა და პრეფექტის ინსტიტუციების გაუქმება. პრეფექტურების ნაცვლად შეიქმნა გამგეობები, ხოლო პრეფექტი გამგეობის თავმჯდომარით შეიცვალა, ზოგიერთ ქალაქში კი მერი დაინიშნა და მას გამგეობის თავმჯდომარეზე მეტი უფლებამოსილება მიენიჭა. სამხედრო საბჭომ ცნო საკრებულოების უფლებამოსილება, თუმცა ზოგიერ მათგანი დაშლილად გამოცხადდა, ხოლო საკრებულოების ნაწილმა კი თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. 1994 წლის აპრილიდან, კანონით განსაზღვრული მათი უფლებამოსილების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით, საკრებულოებმა საერთოდ შეწყვიტეს ფუნქციონირება, შედეგად 24 ადგილობრივი მმართველობის სისტემაში შეიქმნა ინსტიტუციური ვაკუუმი და ჩამოყალიბდა დროებითი მმართველობის ცენტრალიზებული სისტემა.

1994-96 წლებში შემოღებული იქნა რაიონების 9 დიდი გაერთიანება - მხარე. მხარე არ წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულს. სამხარეო დაყოფა დაახლოებით ემთხვევა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ კუთხეებს. მხარეებში სიტუაციას აკონტროლებდნენ პრეზიდენტის რწმუნებულები, რომელთა საქმიანობის წესი კანონმდებლობით არ იყო დარეგულირებული. ვანო ხუხუნაიშვილის

ხელმძღვანელობით პარლამენტში შექმნილმა ინტერფრაქციულმა ჯგუფმა მოამზადა კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“, რომელიც 1997 წლის 16 ოქტომბერს მიიღო პარლამენტმა. ამ კანონის საფუძველზე 1998 წელს ჩატარებული არჩევნებით, შეიქმნა ორდონიანი სისტემა: ძირითადად, საბჭოთა კავშირის დროინდელი ადგილობრივი საბჭოების საზღვრების მქონე 1004 თვითმმართველობა სოფლებში, თემებში, დაბებსა და ქალაქებში, რომლებსაც რაიონულ დონეზე აერთიანებდა პროპორციული სისტემით არჩეული საკრებულო. რეალურად, ცენტრიდან დანიშნული გუბერნატორისა და გამგებლების მეშვეობით შენარჩუნდა სახელისუფლებო ვერტიკალი. 1998 წელს მიღებული კანონით „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ, რომლითაც განისაზღვრა დედაქალაქის თვითმმართველობის განსხვავებული მოდელი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ბაზა გამყარდა 2005 წელს მიღებული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ. ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული ორგანიზების გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან შემორჩენილ 4 „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ— საქართველოს კანონი, მოდელში მნიშვნელოვანი ცვლილებები 2006 წლამდე არ განხორციელებულა. 2006 წლის 9 იანვარს ძალაში შევიდა ახალი ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, რომლის საფუძველზე იმავე წელს ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალური გამოცხადების დღიდან საერთოდ გაუქმდა ქვედა (სოფელი, თემი, დაბა, ქალაქი) დონე და ერთადერთ (როგორც თვითმმართველ, ისე ტერიტორიულ) ერთეულად ყოფილი რაიონების ფარგლებში ფორმირებული მუნიციპალიტეტი გამოცხადდა. ამ ცვლილების მიზეზად სახელდებოდა არსებული მცირე თვითმმართველი ერთეულების არაეფექტურობა საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების

სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობებს არასოდეს არ ჰქონიათ გადაცემული საკმარისი ფინანსური რესურსები.

რეფორმის შედეგად თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის საშუალო ოდენობა 4.354- დან 66.235-მდე გაიზარდა (შედარებისათვის: ევროპის ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში, ასევე რიგი განვითარებული ქვეყნის - აშშ, იაპონია და სხვ. მუნიციპალიტეტებში საშუალოდ 7-დან 18 ათასამდე მცხოვრებია). 2006 წლის რეფორმის შემდეგ დეკლარირებული მიზნის - თვითმმართველობის გამსხვილების პარალელურად, ფინანსური მდგრადობისა და საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხის ზრდის ნაცვლად, თვითმმართველობები მთლიანად იქცნენ ცენტრალური ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლობებად, მთავრობაზე ადმინისტრაციულად, პოლიტიკურად და ფინანსურად დამოკიდებულ ორგანოებად. მოსახლეობისაგან ხელისუფლების ორგანოების დაშორების ნეგატიური შედეგების დაძლევის მიზნით ახალი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებულ ყოფილ თემებში (ტერიტორიულ ორგანოებში) შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის რწმუნებულების ინსტიტუტი. თუმცა მალევე აშკარა გახდა, რომ ეს სტრუქტურა ვერ ამართლებდა დეკლარირებულ მიზნებს - იგი ანგარიშვალდებული იყო მუნიციპალიტეტის გამგებლის, და არა მოსახლეობის წინაშე და არ გააჩნდა რეალური ბერკეტები (ფინანსები და ადამიანური რესურსები) ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების გადასაწყვეტად. რწმუნებულები, ფაქტიურად, თვითმმართველობის გადაწყვეტილებების მისახლეობისათვის მიწოდებისა და არჩევნებზე მმართველი პარტიის სასარგებლოდ პარტიული აქტივის მობილიზების ფუნქციას ასრულებდნენ.

„ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 1985 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ”, ხოლო ხელმოსაწერად დოკუმენტი 1985 წლის 15 ოქტომბერს გაიხსნა. საქართველომ ამ

საერთაშორისო ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 2002 წლის 29 მაისს. 2004 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ქარტიის რატიფიცირება და 2005 წლის 1 აპრილიდან ის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ძალაში შევიდა.

ქარტიის დებულებები განსაზღვრავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითად პრინციპებს, როგორიცაა:

1.თვითმმართველობის კონსტიტუციური და სამართლებრივი საფუძვლების შექმნის აუცილებლობა;

2.ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილების სფერო და მათი რეალიზაციის პირობები;

3.ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ტერიტორიული გამიჯვნის პრინციპის დაცვა;

4.ადგილობრივი ხელისუფლებისა და მისი ადმინისტრაციული ორგანოების ავტონომიურობის უზრუნველყოფა;

5.თვითმმართველობებში კომპეტენტური პერსონალის დასაქმება და არჩევით თანამდებობათა დაკავების პირობები;

6.თვითმმართველობების საქმიანობის ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელება;

7.ადგილობრივი ხელისუფლების საფინანსო რესურსებით უზრუნველყოფა;

8.თვითმმართველობების თანამშრომლობა და გაერთიანების უფლება;

9. ადგილობრივი ხელისუფლების სამართლებრივი დაცვა.

ქარტიის სავალდებულო ბირთვის 14 დებულებიდან 2004 წელს საქართველო შეუერთდა 13 დებულებას, ხოლო დამატებითი პუნქტებიდან - 10 დებულებას. ფაქტიურად, საქართველომ ივალდებულა ქარტიის დებულებათა უდიდესი ნაწილის შესრულება. მიუხედავად ზოგიერთი დებულების არ აღიარებისა, ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესის გათვალისწინებით, დოკუმენტის ყველა 7 საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული

ქარტიის— რატიფიცირების თაობაზე, თბილისი, 2004 წლის 26 ოქტომბერი, №515–ს 27 დებულება ძალზე მნიშვნელოვანია, რამდენადაც წარმოადგენს იმ —შუქურას , რომლისკენაც უნდა ისწრაფვოდეს ქვეყანა ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის მშენებლობისას.

ქარტიასთან შეერთებისას მთავრობამ გააკეთა დათქმა, რომ საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იხსნის პასუხისმგებლობას ოკუპირებილ ტერიტორიებზე: აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში „ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიით— გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე.

„ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის— მე2 მუხლი „ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური და სამართლებრივი საფუძველი— ხელმომწერ სახელმწიფოებს ავალდებულებს, ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპი აღიარონ ეროვნულ კანონმდებლობაში, უმჯობესია, ყველაზე ძნელად შესაცვლელ და უზენაეს ნორმატიულ აქტში – კონსტიტუციაში. ეს თვითმმართველობის სტაბილურობისთვისაა აუცილებელი. 1995 წელს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ მხოლოდ ერთი ჩანაწერი, მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი იყო: „საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით.

2010 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომელშიც ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპები განისაზღვრა ახალი, VII1 თავით „ადგილობრივი თვითმმართველობა. თვითმმართველობის კონსტიტუციურ

გარანტიებთან დაკავშირებული მუხლები ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვრიდან. 2010 წელს ქვეყნის ძირითად კანონში შეტანილმა ცვლილებებმა და დამატებებმა კონსტიტუციურად გაამყარა თვითმმართველობის საქმიანობის გარანტიები თუმცა, ამ დროს არ იქნა გათვალისწინებული ვენეციის კომისიის რეკომენდაციები კომპეტენციების მკაფიოდ გამიჯვნის, სუბსიდიარობისა და ფისკალური დეცენტრალიზაციის ძირეული პრინციპების კონსტიტუციაში ასახვის შესახებ.

საქართველოში ადგილობრივი თვითმართველობის საქმიანობის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტად კონსტიტუციით განსაზღვრულია ორგანული კანონი (მუხლი 1011), რომლის მისაღებად და შესაცვლელად პარლამენტს, კანონთან შედარებით, უფრო მაღალი კვორუმი (სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი) სჭირდება.

საქართველო ასევე არ არის შეერთებული ქარტიის დამატებით ოქმს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლებების შესახებ. რომელიც მიღებულია ქ.უტრეხტში 2009 წლის 16 ნოემბერს. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ქვეყნის სათავეში მოსულმა "ქართულმა ოცნებამ" კვლავ არაერთხელ დააფიქსირა დეცენტრალიზაციის რეფორმის აუცილებლობა. პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე განაცხადა, რომ თვითმმართველობის რეფორმა ყველაზე მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ახალი ხელისუფლებისთვის.

2012 წლის ნოემბერში, ახალი მთავრობის ფორმირების შემდეგ, თვითმმართველობის რეფორმის საკანონმდებლო ბაზის მომზადება დაევალა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ხოლო თვითმმართველობის შესახებ ახალი კანონპროექტის მომზადების უშუალო ხელმძღვანელობა დაეკისრა მინისტრის პირველ

მოადგილეს, თენგიზ შერგელაშვილს. 2013 წლის 1 მარტს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისათვის", რომელიც ადგენდა, რომ „რეფორმის ამოსავალი პრინციპია მოქალაქეების მაქსიმალური გააქტიურება და უშუალო ჩართულობა საქართველოს მთავრობა დეცენტრალიზაციის პროცესს განიხილავს ქვეყანაში დემოკრატიისა და მისი შესაბამისი ინსტიტუტების დამკვიდრების საკვანძო ასპექტად". ხელისუფლების მიერ გაცხადებულ სტრატეგიაზე დაყრდნობით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, მასთან არსებული თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის საკითხებში მრჩეველთა საბჭოსა და ამ საბჭოს სამუშაო ჯგუფებში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშავა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის კანონპროექტი, რომელიც მთავრობამ 31 ოქტომბრის სხდომაზე მოიწონა. 2014 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომელმაც დეცენტრალიზაციის, სუბსიდიარობისა და მართვის ეფექტიანობის პრინციპების გათვალისწინებით საკანონმდებლო საფუძველი შექმნა ეფექტიანი მმართველობითი სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

კოდექსი სრულად იზიარებს ქარტიის სულისკვეთებას და მასში ასახულია მისი ყველა დებულება, მ.შ. ისინიც, რომლებთანაც საქართველო ჯერ არ არის შეერთებული. ახალი ორგანული კანონით ნათლად გაიმიჯნა უფლებამოსილებები ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის, არჩევითი გახდა ყველა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის - მერის/გამგებლის თანამდებობა, დამატებით 7 ქალაქს მიენიჭა თვითმმართველი ქალაქის სტატუსი, ასევე, კოდექსის გარდამავალი დებულებებით დაიგეგმა რეფორმირებული სისტემის შემდგომი სრულყოფა ინსტიტუციური,

საფინანსო-ეკონომიკური და მართვის ეფექტიანობის უზრუნველყოფის კუთხით, მათ შორის, ფისკალური დეცენტრალიზაციისა და ქონებრივი საკითხების მოწესრიგების კუთხით.[4]

&1.3. ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა, ხარვეზები, გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები

მას შემდეგ რაც საქართველომ დამოუკიდებლობა (1991 წლიდან) მოიპოვა დღის წესრიგში დადგა ადგილობრივი მმართველობების ძირეული რეფორმირების აუცილებლობა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიმართულებით გასული 27 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა, შედეგი მიღწეული ჯერაც არ არის, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ადგილობრივი თვითმმართველობების რეალური დამოუკიდებლობისათვის.

განვითარებული ქვეყნების თვითმმართველობებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქვეყნის დემოკრატიულად განვითარება ფაქტიურად წარმოუდგენელია თვითმმართველობების რეალურად განვითარების გარეშე. თვითმმართველობების განვითარებისათვის კი საჭიროა ადგილებზე იყოს საკმარისი ფინასები, ქონება და პრაქტიკაში ხორციელდებოდეს შედეგზე ორიენტირებული და ეფექტური ადგილობრივი მენეჯმენტი. გამომდინარე იქედან, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ეს არის ნამდვილი დემოკრატიის სკოლა, ამიტომ თვითმმართველობების უფლებები ვრცელდება ყველა იმ პირზე,

[4] ლოსაბერიძე დ, კანდელაკი კ, აბულაძე მ, კონჯარია ო, (2016), ადგილობრივი თვითმმართველობა, 23-29 გვ, მოძიებული (24.04.21)- https://droa.ge/wp-content/uploads/2018/02/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90.pdf;

რომლებიც დაინტერესებულნი არიან ამით. მსოფლიო პრაქტიკამ ცხადყო, რომ არ არსებობს უკეთესი მეთოდი, ვიდრე ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ადგილობრივი მოქალაქეების მიერ გადაწყვეტაა. თვითმმართველობა ეს არის ორგანიზებულად და ერთობლივად მოქალაქეების მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა.

1991 წლიდან მოყოლებული ადგილებზე ფატიურად არ ჩამოყალიბდა ორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოება, რომლებიც ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ეფექტურად გადაწყვეტაზე იქნებოდნენ ორიენტირებულნი და მნიშვნელოვან ოპონირებას გაუწევდა ადგილობრივი თვითმმართველობების შესაბამის ორგანოებს (საკრებულო, მერია), ადგილობრივი საკითხების ეფექტურად გადაწყვეტისას.

ადგილობრივ თვითმმართველობებში მოქალაქეები ყოველთვის ბელადს ეძიებდნენ ზემოდ, ხოლო თვითონ კი ტომებს ემსგავსებოდნენ, გამომდინარე აქედან ადგილებზე არსებული პრობლემები პრობლემებად რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, მაინც ვერ გადმოვიღეთ ევროპიდან სოციალური ურთიერთობის პრაქტიკა, თუ როგორ ვიცხოვროთ ერთად და როგორ გადავწყვიტოთ ერთობლივად ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. გამომდინარე აქედან მნიშვნელოვნად გაუარესდა მოქალაქეებს შორის ურთიერთნდობის ხარისხი. ადგილებზე შეინიშნება საზოგადოების კოლექტიური პასუხისმგებლობის დეფიციტი, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტას.

საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ რაც არ უნდა მონდომებული იყოს მუნიციპალიტეტის მთავრობა ოპერატიულად გადაწყვიტოს ადგილობრივი პრობლემატური საკითხები, თუ მას ჯანსაღ

ოპონირებას არ უწევს ადგილობრივი საზოგადოება, შედეგი მაინც არ მიიღწევა.

ადგილობრივი საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ აღიქვავს, რომ საჭიროა კოლექტიურად, აგილობრივი მნიშვნელობის საკითხების, ადგილობრივ მთავრობასთან ერთად გადაწყვეტა.[5]

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საქართველომ დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ გხდომის შემდეგ მიიღო არაერთი კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციული სტრუქტურის მოწყობის, მისი სამართლებრივად მდგრადი ფუნქციონირებისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების მიზნით. ეროვნული კანონმდებლობის მორგება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიისთვის (შემდგომში ქარტია) სხვა საფუძვლებთან ერთად განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში არ იყო სათანადოდ აღიარებული ადგილობრივი უფლებების თვალსაზრისით კანონის უზენაესობის ფუნდამენტური კომპონენტი და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა.

ქარტიის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპები უნდა აღიარონ შიდა კანონმდებლობით და შესაძლებლობის შემთხვევაში, კონსტიტუციით, იგი გულისხმობს ხელისუფლების ისეთი დემოკრატიული გზით შექმნილი ადგილობრივი ორგანოების არსებობას, რომელსაც გააჩნიათ ფართო ავტონომია მათი კომპეტენციის განხორციელებისა და ამისთვის აუცილებელი სახსრების მხრივ, ასევე უფლებამოსილნი არიან ადგილობრივ საკითხებზე მაღალი ლეგიტიმაციის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას.

---

[5] ჭიჭინაძე. ა, (12.2018), ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პრობლემები საქართველოში, გვ.1-2, აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი, მოძიებული(25.04.2021), https://www.researchgate.net/publication/330005688_adgilobrivi_tvitmmartvelobebis_ganvitarebis_problemebi_sakartveloshi;

უდავოა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ბევრი ასპექტი საჭიროებს დახვეწას, პერიოდულ შესწორებასა და მისადაგებას მზარდი გარემოებებისადმი. შედარებითი კვლევები ცხადყოფს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის გაუმჯობესება გრძელვადიანი გამოწვევაა, ამიტომაც წარმოადგენდა საქართველოს სახელისუფლებო პირების ზრუნვის საგანს სისტემის დემოკრატიულად ინსტიტუციური მოწყობა. განსახილველი ორგანული კანონი, რომლის ავტორია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ხოლო ინიციატორი საქართველოს მთავრობა - სამთავრობო პროგრამით განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით, შეისწავლა თვითმმართველობის რეფორმის განხორციელებასთან ეფექტიანი თვითმმართველობის სისტემის შემოღებაასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა, გაანალიზდა საქართველოს გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ეკონომიკური და მენტალური თავისებურებები და საქართველოს გამოცდილება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სხვადასხვა პერიოდის მოწყობის მოდელებისა.[6]

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნადაა დასახვეწი თვითმმართველობის აღქმის თავისებურებანი და აუცილებელია მოქალაქეები გავათვიცნობიეროთ მათ უფლებებსა და მოვალეობებში, რათა ისინი გავხადოთ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას საკრებულოსთან და მერიასთან ერთად პროცესების თანამონაწილენი. სახელმწიფოში ასეთი მიდგომით მნიშვნვნელოვნად გაუმჯობესდება

[6] ზეინაშვილი ა, (2014), ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის კომენტარები (საქართველოს ორგანული კანონი), გვ.7-8, მოძიებული (25.04.2021), http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/102439/1/AdgilobriviTvitmmartvelobisKomentarebi.pdf;

ადგილებზე საერთო სოციალური მდგომარეობა, რაც მთლიანობაში ადგილობრივი ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიაა.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ რეალური თვითმმართველობის ჩამოყალიბების მიმართულებით მნიშვნელოვანი პრობლემები რომლებიც ჯერ კიდევ ხელს უშლის ადგილობრივი ეკონომიკის და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, არის შემდეგი:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსური სისუსტე;

ბ) მოქალაქეების აქტივობის დაბალი დონე;

გ) ადგილობრივი კვალიფიციური კადრების ნაკლებობა;

დ) მუნიციპალიტეტებში დასაქმებული პირების კარიერული წინსვლის ფაქტიური არ არსებობა;

ე) ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე ბიუროკრატიის მაღალი ხარისხი;

ვ) მუნიციპალიტეტების კომპეტენციების დაბალი დონე, ადგილობრივი მნიშნელობის საკითხების გადაწყვეტისას;

ზ) ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებების მნიშვნელოვანი აღრევა;

თ) ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში დასაქმებული პირების გადამზადების დაბალი დონე;

ი)ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში დასაქმებულ პირებში სტაბილურობის განცდის არ არსებობა, დაკავებული სამსახურეობრივი პოზიციის შენარჩუნებასთან დაკავშირებით;

კ) ყოველი ადგილობრივი არჩევნების ჩატარებისასა, მუნიციპალიტეტებში ხშირი რეორგანიზაცია და შტატების შემცირება;

ლ) არასტაბილური და არამდგრადი მუნიციპალური საჯარო სამსახური.

მუნიციპალური მართვის გაუმჯობესების კუთხით ცენტრალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი,

რათა არსებული თვითმმართველობა დაუახლოვდეს რეალურ მმართველობას. აღნიშნულ პროცეში კი უაღრესად მნიშვნელოვანია მოქალაქეების ჩართულობის ხარისხის მნიშვნელოვანი ზრდა. მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მოქალაქეების ჩართულობის გარეშე რეალური თვითმმართველობა წარმოუდგენელია.[7]

თავი II. მოქალაქის როლი სამოქალაქო საზოგადოებაში

&2.1 მოქალაქის უფლებები, მოვალეობები, პასუხისმგებლობა

თანამედროვე პოლიტიკური სისტემის ცენტრალური ფიგურა მოქალაქეა, რამდენადაც ის აფუძნებს სახელმწიფოს, მონაწილეობს მართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ქვეყნის კონსტიტუცია განსაზღვრავს მოქალაქის სტატუსს, უფლებებსა და მოვალეობებს, რომლის განხორციელება მას კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე შეუძლია.

მოქალაქეობის ინსტიტუტის არსებულ კონცეფციას, რომლის თანახმადაც მოქალაქე არის პოლიტიკური ერთობის წევრი, რომელიც აცნობიერებს და აღიარებს მასზე დაკისრებულ უფლებებს და მოვალეობებს (Standford Encyclopedia of Philosophy, 2011), საფუძველი ჩაუყარა საფრანგეთის 1789 წლის რევულუციამ. ამ დროს ინსტიტუციურ დონეზე ერთმანეთისაგან გაიმიჯნა მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე უცხოელი. მოქალაქეობა ფორმალურად განისაზღვრა, როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე

[7] ჭიჭინაძე. ა, (12.2018), ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პრობლემები საქართველოში, გვ.7-8, აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი, მოძიებული(25.04.2021), https://www.researchgate.net/publication/330005688_adgilobrivi_tvitmmartvelobebis_ganvitarebis_problemebi_sakartveloshi;

მცხოვრებთა საერთო უფლებები და მოვალეობები, რომელიც არ იყო დაფუძნებული ეთნიკურ კუთვნილებაზე, საცხოვრებელ რეგიონზე, გვაროვნულ წარმომავლობაზე, არამედ საერთო სახელმწიფოებრივ აღქმაზე, რომელსაც მოგვიანებით, „საკუთარი მომავლის ხედვა“ უწოდეს (imagine its own future). რეალურად, სწორედ საფრანგეთის რევულუციამ წარმოშვა ერის სამოქალაქო კონცეფცია, რომელიც ადამიანის „ერის“ წევრად გახდომას მოქალაქეობით განსაზღვრავდა. თუმცა, ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ მოქალაქეობის ინსტიტუციურ დონეზე გაფორმება არ არის საკმარისი სახელმწიფოსადმი კუთვნილების გრძნობის შესაკვრელად. საჭიროა მისი ჩართვა პოლიტიკურ-მმართველობით პროცესებში, რითაც მოქალაქეები ინაწილებენ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობას. ამ ფორმით მიღებული გადაწყვეტილება მოერგება საზოგადოებრივ საჭიროებებს, იქმნება უფრო მეტად ეფექტური და ლეგიტიმური.

მოქალაქის ჩართულობის ხარისხი დიდწილად განსაზღვრავს, თუ რამდენად ახდენს ის სახელმწიფოსთან იდენტიფიცირებას და პირიქითაც, სახელმწიფოსთან მიკუთვნებულობის განწყობა ზეგავლენას ახდენს მოქალაქეთა ჩართულობის მაჩვენებელზე, როგორიც არის მაგალითად, საქართველოში კომპაქტურად მოსახლე ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში. ამასთანავე, დღესდღეობით სახელმწიფო პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულობის ერთ-ერთი უმთავრესი ინდიკატორი გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მაღალი ხარისხია.[8]

მოქალაქის უფლებები, ფართო გაგებით, პრაქტიკულად იგივეა, რაც ადამიანის უფლებები. ამგვარად, მოქალაქეს დაბადებიდან აქვს სიცოცხლის,

[8] ბუროუსი გ, აბაშიძე ზ, მუხიგული ქ, დუნდუა ს, ქარაია თ, (რედ) მაცაბერიძე მ, ჯავახიშვილი ლ, დემოკრატია და მოქალაქეობა-საკითხავი მასალა სტუდენტებისთვის (მესამე გამოცემა), 223 გვ, (2020წ);

თავისუფალი განვითარების, პირადი ცხოვრების თუ საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლება. იგი სარგებლობს გამოხატვის, გაერთიანების, რელიგიის თავისუფლებით. მას ხელი უნდა მიუწვდებლოდეს განათლებაზე, სამართლიან სასამართლოზე, უსაბრთხო გარემოზე და სხვა. როგორც წესი, ამ უფლებების და თავისუფლებების ჩამონათვალი მოცემულია კონსტიტუციაში ან და კანონში.

მოქალაქეს ასევე აქვს საკუთარი სახელმწიფოს, ქალაქის ან თემის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება არჩევნებში ან რეფერენდუმში მონაწილეობის ან საზოგადოებრივ გაერთიანებებში გაწევრიანების გზით, საქველმოქმედო და ნებაყოფლობითი საქმიანობით და სხვა. თუმცა ადამიანის უფლებებისაგან განსხვავებით, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, ხშირად მოქალაქის ასაკზეა დამოკიდებული.[9]

ადამიანის უფლებათა დაცვა მნიშვნელოვანია ადამიანთა განვითარებისა და მათი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის. ამავდროულად, ადამიანის უფლებები განსაზღვრავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობებს პიროვნებისადმი.

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ძირითადი დოკუმენტებია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ბავშვთა უფლებების კონვენცია. ადამიანის უფლებები, ტრადიციულად, იყოფა სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებად. ეს კატეგორიები უკავშირდება ადამიანის უფლებათა ჩამოყალიბებისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპს.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები ,,პირველი თაობის“ უფლებებად მოიხსენიება ხოლმე, სოციალური და ეკონომიკური უფლებები – ,,მეორე თაობის“ უფლებებად, კულტურული და განვითარების უფლებები კი ,,მესამე თაობას“ მიეკუთვნება. ასეთი კატეგორიზაციის მიუხედავად, სწავლება

[9] (10.30.2019) სამოქალაქო განათლება ყველასათვის, მოქალაქე, როლი და პასუხისმგებლობა I თავი გაკვეთილი 9 მოძ. (16.05.2021) https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-9;

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ ადამიანის უფლებათა ინტეგრირებული აღქმის მომხრეა. ასეთი ინტეგრირებული მიდგომა თანაბრად უსვამს ხაზს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის უფლებებს –სამოქალაქო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს.

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ ცდილობს, გვერდი აუაროს წარსულში დამკვიდრებულ მიდგომას იმის თაობაზე, რომ გარკვეული უფლებები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყველა დანარჩენი. ადამიანის უფლებები, ტრადიციულად, ასოცირდება სახელმწიფოსთან და მის პიროვნებასთან ურთიერთობასთან. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ადამიანთა ჯგუფების უფლებებზე. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში ამ იდეების გატარება მნიშვნელოვანია როგორც თავად ადამიანის უფლებათა ცნების, ისე ადგილობრივი, ეროვნული და რეგიონული თემების განვითარებისათვის.

ადამიანის უფლებებში სამ ელემენტს გამოყოფენ: უფლების მეპატრონე, უფლების შინაარსი (რა შეიძლება მოითხოვოს მეპატრონემ ამ უფლების მიხედვით), პასუხისმგებელი პირი (ის პიროვნება ან დაწესებულება, რომელიც ვალდებულია, უზრუნველყოს უფლების მეპატრონის მიერ უფლების გამოყენება). პასუხისმგებლობა ფასდება სამ დონეზე:

ადამიანის უფლებათა პატივისცემა. პირდაპირი ან ირიბი ფორმით ადამიანის უფლებათა შელახვისაგან თავშეკავება. ეს უკანასკნელი გულისხმობს ისეთი დაწესებულებების და პირობების შექმნისაგან თავშეკავებას, რაც ადამიანთა უფლებათა დარღვევას შეუწყობდა ხელს; ასევე, ყველა იმ ხელშემწყობ ინსტრუმენტებზე უარის თქმას, რაც ადამიანის უფლებათა შელახვას გამოიწვევს.

ადამიანის უფლებათა დაცვა. ხელის შეშლა მათთვის, ვინც ადამიანის უფლებებს არღვევს, მაგალითად, სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლების, საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძო კორპორაციების, თემის ლიდერების, ოჯახის წევრებისათვის; უფლებაშეზღუდულთათვის დახმარების აღმოჩენა. იმ ადამიანების

ხელშეწყობა, რომელთა უფლებების სათანადო დაცვა ვერ მოხერხდა, ან რომლებიც ემსხვერპლნენ ბუნებრივ კატასროფებს. ასეთი დახმარება გულისხმობს იურიდიულ, საბიუჯეტო, საკანონმდებლო და სხვა ქმედებებს, რათა შეიქმნას საუკეთესო გარემო ადამიანის უფლებათა დაცვისათვის.

თავისუფლებები, რომლებიც სამოქალაქო უფლებების ფორმითაა დაცული, მოიცავს: აზროვნების, შეხედულებისა და გამოხატვის თავისუფლებას, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას, სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილებისა და მშვიდობიანი თავყრილობის გამართვის თავისუფლებას. სხვა სამოქალაქო უფლებები იცავენ ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების თავისუფლებას და თანასწორობას კანონის წინაშე.

ადამიანის თითოეულ უფლებას უკავშირდება გარკვეული პასუხისმგებლობები, როგორც მოქალაქეთა, ისე სახელმწიფოს მხრიდან. ყოველი ადამიანი მორალურად ვალდებულია, არ შეურაცხყოს სხვა ადამიანის პირადი ღირსება. მთავრობა, რომლის მოქმედებას არეგულირებს კონსტიტუცია და საერთაშორისო ხელშეკრულებები, არა მხოლოდ მორალური, არამედ იურიდიული პასუხისმგებლობის მატარებელია.[10]

უფლებებთან ერთად მოქალაქეს აქვს ვალდებულებებიც, რომლებიც ასევე განსაზღვრულია კანონით. საქართველოს მოქალაქე, ისევე როგორც საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი, ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს, იხდიდეს გადასახადებს, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს. ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში მოქალაქეებს ეკისრებათ ვალდებულება იმსახურონ სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ან იყვნენ ნაფიცი

[10] ციურიხის პედაგოგიური უნივერსიტეტი, living demokracy, (2015წ), უფლებები, თავისუფლებები და პასუხისმგებლობეები, მოძიებულია (26.05.2021), https://www.living-democracy.ge/textbooks/volume-3/part-2/unit-5/;

მსასაქართველოს კონსტიტუციის მიხედვით „საქართველოს დაცვა საქართველოს მოქალაქის ვალია“. აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით სამხედრო სამსახურის ვალდებულება, როგორც წესი, მხოლოდ სრულწლოვან მამაკაცებს აქვთ.

საქართველოს კანონმდებლობით, მოქალაქეს აქვს ვალდებულება, შერჩევის შემთხვევაში, შეასრულოს ნაფიცი მსაჯულის ფუნქცია, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, მაგალითად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხ. 30-ი, პირი ვერ მიიღებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას ნაფიც მსაჯულად თუ: ა) იგი სახელმწიფო თანამდებობის პირია; ბ) იგი გამომძიებელია; გ) იგი პოლიციელია და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქე პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს საკუთარი უფლებების და მოვალეობების შესრულებას - პატივი სცეს და ანგარიში გაუწიოს სხვების ინტერესებს, სიფრთხილით მოეპყრას საზოგადოებრივ სიკეთეებსა და ქონებას, იზრუნოს მათ გაუმჯობესებაზე მაგალითად, დარგოს ხე ან დაასუფთაოს საერთო ტერიტორია, უარი თქვას გარემოსთვის მავნე ნივთიერებების ან საგნების გამოყენებაზე და ა. შ. ეს როლი ბუნებრივია ნებაყოფლობითია, თუმცა საზოგადოებებში, რომელთა მოქალაქეებიც პირადი პასუხისმგებლობით არიან გამსჭვალულნი, ცხოვრება გაცილებით სასიამოვნოა.[11]

პასუხისმგებელი მოქალაქეობა მოიცავს თითოეული მოქალაქის მიერ მათ საზოგადოებაში კონსტიტუციური უფლებებისა და მოვალეობების ჩადენილ განხორციელებას. საქმე ეხება ინდივიდების მიერ კონსტიტუციით შემოთავაზებულ უპირატესობებს პასუხისმგებლობით, მათი თემების

[11] (10.30.2019) სამოქალაქო განათლება ყველასათვის, მოქალაქე, როლი და პასუხისმგებლობა I თავი გაკვეთილი 9 მოძ. (15.05.2021) https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-9;

კანონების პატივისცემითა და საერთო კეთილდღეობის უზრუნველყოფით. სამოქალაქო ქცევა ინდივიდუალიზმის ანტონიმია, ვინაიდან პირველი მეორის მიმართ ემპათიას და ყურადღებას მოითხოვს. პასუხისმგებელი მოქალაქეობა ასევე ცდილობს თავიდან აიცილოს პოლიტიკური გულგრილობა, კონფორმიზმი და შეუწყნარებლობა, რადგან ეს ელემენტები ზიანს აყენებს საზოგადოებებს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტებით. საპასუხისმგებლო მოქალაქეობის განსახორციელებლად, ელემენტარულია პიროვნების მონაწილეობა სხვადასხვა საქმიანობაში და ამოცანებში, რომელსაც ხელს უწყობს მათი გარემო. მაგალითად, სახელმწიფო უწყებებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეებმა მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო დღეებში, რადგან ამ გზით შეიძლება გარანტირებული იყოს, რომ არჩევნების შედეგი მონაწილეთა უმრავლესობის გადაწყვეტილების შედეგი იქნება.

მოქალაქეების პასუხისმგებლობით მონაწილეობით საზოგადოების წევრები ხელს უწყობენ თავიანთი ქვეყნის ან მათი გარემოს კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ განვითარებას. ეს შესაძლებელია დემოკრატიის არსებობის წყალობით, რადგან ამის გამო მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და აირჩიონ ის კანდიდატი, რომელსაც ისინი თვლიან შესაფერისად. გარდა ამისა, პასუხისმგებელი მოქალაქეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ საარჩევნო აქტიური მონაწილეობით, არამედ მოიცავს სხვა ასპექტებსაც. მაგალითად, გარემოს შენარჩუნების კოლექტიურ ძიებას და ისტორიული ინფრასტრუქტურის შენარჩუნებას, რომელიც მნიშვნელოვანია კულტურული წარმოსახვისთვის. პასუხისმგებელი მოქალაქეობის ფარგლებში აუცილებელია თანასწორობის პირობების არსებობა. ეს ნიშნავს, რომ არსებობს სამართლიანი კავშირი იმ უფლებებსა და მოვალეობებს შორის, რომლებიც თითოეულ მოქალაქეს შეესაბამება.

ეს ფაქტორები არ განასხვავებს რასის, კუთვნილების ან სქესის წარმომადგენლებს: ისინი ერთი და იგივე უნდა იყვნენ ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც საზოგადოებას ან ქვეყანას ქმნის.

მოქალაქეობის პასუხისმგებლობის შესასრულებლად აუცილებელია, რომ ნებისმიერი რეგიონის მაცხოვრებლები ვალდებულნი იყვნენ ორგანიზებულად მიიღონ მონაწილეობა ყველა იმ საქმიანობაში, რომლებიც მოითხოვს კენჭისყრას და სახალხო არჩევნებს.

პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეობას არ გააჩნია ეგოტიზმი, რადგან საკუთარი ინტერესები უნდა მოიძებნოს კოლექტიურ ინტერესებთან შესაბამისობაში; პირველს არ შეუძლია ზიანი მიაყენოს სხვებს, რადგან ეს იქნება მოქალაქეობის ცნების საწინააღმდეგო.

ზემო აღნიშნულის მიზანია ერის საერთო სიკეთის დაცვა და როგორც კოლექტიური, ასევე ინდივიდუალური ინტერესების დაცვაა.[12]

& 2.2 სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო

თანამედროვე მსოფლიოში სამოქალაქო საზოგადოება განიხილება დემოკრატიის განუყოფელ ნაწილად: დემოკრატიული სახელმწიფო წარმოუდგენელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობის გარეშე და თავის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებაც განაპირობებს დემოკრატიულობის მაღალ ხარისხს.

[12] პასუხისმგებლიანი მოქალაქეობა: მახასიათებლები და მაგალითები, მოძიებული (26.05.2021), https://ka.warbletoncouncil.org/ciudadania-responsable-7871#menu-3;

განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება უზრუნველყოფს ჯანსაღ და დაბალანსებულ პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობას, რომლის დროსაც მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია ყველა ინტერესთა ჯგუფის შეხედულებები და მისწრაფებები. დღევანდელ საქართველოში ხშირად ისმის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქვეყნის განვითარებისთვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და განვითარებაა. სამოქალაქო ისეთი საზოგადოებაა, სადაც ადამიანები ნებაყოფლობით, სამოქალაქო ინიციატივის საფუძველზე ერთიანდებიან, მოქმედებენ სახელმწიფოსაგან ავტონომიურად და ახორციელებენ კოლექტიურ ძალისხმევას საერთო ინტერესების განსახორციელებლად.

სამოქალაქო საზოგადოების მთავარი მისია მოქალაქეთა ინტერესების არტიკულაცია და მათი უფლებების დაცვაა. სამოქალაქო საზოგადოების არსებობა ხშირად კონკრეტული საზოგადოების ან ქვეყნის დემოკრატიულობის კრიტერიუმია. სამოქალაქო საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ისეთი დემოკრატიული პრინციპების არსებობა, როგორიცაა: საზოგადოებრივი ცხოვრების ხელშეუხებლობა, საკუთრების, სიტყვის, ასოციაციების თავისუფლება, კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა. სამოქალაქო საზოგადოება გულისხმობს საერთო აქტივობას, რომელიც ადამიანთა ფართო წრეებს მოიცავს, სადაც ადამიანები ამავე დროს არიან მოქალაქეები, აღჭურვილნი უფლებებით, მოქალაქეობრივი მოვალეობებით, გარკვეული მორალური ნორმებით, პირადი ღირსების გრძნობით, სხვა ადამიანების უფლებებისა და თავისულებისადმი პატივისცემით.

სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა განსაკუთრებით ვლინდება მაშინ, როდესაც ხელისუფლება ცდილობს დაარღვიოს მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებები. ის ზღუდავს და აკონტროლებს პოლიტიკურ ხელისუფლებას, რათა არ მოხდეს ძალაუფლების გადამეტება. მუდმივი

კონტროლი, ზეგავლენის შესაძლებლობა და პასუხისმგებლობის აღება სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ამცირებს საჯარო ძალაუფლების გამოყენების შანსს პირადი სარგებლისათვის. მაგრამ ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოება არ გულისხმობს მხოლოდ ხელისუფლებაზე კონტროლის განხორციელებას, არამედ ის აძლევს პოლიტიკურ ელიტას განახორციელოს მმართველობითი ფუნქცია.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოება საზოგადოებრივი აქტივობის ერთჯერადი გამოვლინება კი არ არის, არამედ გულისხმობს გაზიარებული ღირებულებების საფუძველზე დამყარებული ურთიერთობების დინამიურ განვითარებას. 2005-2010 წლებში საქართველოში ჩატარებული არაერთი კვლევა მიუთითებს, საქართველოს მოქალაქეების სამოქალაქო აქტიურობის დონე ძალიან დაბალია. ამ მოსაზრებას იზიარებს ასევე 2011 წლის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები, რომელიც G-PAC მხარდაჭერით ჩატარდა. კვლევამ აჩვენა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის ან პროფესიული კავშირის წევრობას მოსახლეობის ძალიან მცირე რაოდენობა, მხოლოდ - 1% ადასტურებს, დაახლოებით 0.8 პროცენტი ოფიციალური კულტურული თუ სხვა რაიმე სპორტული კავშირის წევრია, ხოლო მხოლოდ არასრული 5% აცხადებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან რაიმე სახის კავშირი ჰქონია. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პოლიტიკური აქტიურობის დონეც საკმაოდ დაბალია. პოლიტიკურ პარტიაში მოსახელობის 1.7%-ია გაერთიანებული. თუ საქმიანობის სპექტრის მიხედვით ვიმსჯელებთ, გამოკითხული ორგანიზაციები ძირითადად ექვს სფეროში საქმიანობენ: განათლება (19.1%), სამოქალაქო საზოგადოება და საზოგადოებრივი კამპანიები (13.5%), სოციალური მომსახურება (11.6%), ადგილობრივი თემების განვითარება (11.2%), ჯანდაცვა (7.9%) და ახალგაზრდობის საკითხები (6.4%). სხვა სფეროების წილი 5 %-ზე ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო სფეროში დაკავებული

ორგანიზაციები ჭარბობს რეგიონებში (გამონაკლისია გურია და შიდა ქართლი). ამას გარდა, როგორც კვლევამ აჩვენა, კვლევაში მონაწილე სსო-თა უმრავლესობამ (84.2%) საქმიანობის 3 სფერო დაასახელა.[13]

კითხვაზე - რა როლი აკისრია მთავრობას თანამედროვე საზოგადოებაში? არსებობს მეტ-ნაკლებად ყველა დემოკრატიული საზოგადოებისთვის მისაღები პასუხი - მთავრობის როლი უნდა იყოს შეზღუდული და მის წევრებს არ უნდა ჰქონდეთ თვითგამდიდრების შესაძლებლობა, რადგან უნდა ვივარაუდოთ, რომ ადამიანები ხელისუფლებაში მოვიდნენ ხალხისა და ქვეყნის სიყვარულისთვის და არა საკუთარი კეთილდღეობისთვის.

მთავრობის ფუნქცია შეიძლება წარმოვიდგინოთ/შემოვფარგლოთ შემდეგი ამოცანებით:

1. უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და სტაბილური გარემო თავისუფალი ვაჭრობის, ინოვაციების, განვითარებისა და წარმოებისთვის.
2. უნდა დაიცვას სახელმწიფო საზღვრები ნებისმიერი შიდა და გარე საფრთხისაგან, რომელიც ემუქრება მოქალაქეთა უსაფრთხოებას და ცხოვრების წესს.
3. ქვეყნის მოქალაქეებს უნდა მისცეს ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საშუალება ყველა შესაძლო და კანონიერი ფორმით, ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფით და ინფრასტრუქტურის (საცხოვრებელი გარემო, მუდმივი წყალი, ელექტროენერგია, ტელეკომუნიკაცია და სხვ.) შექმნით.

[13] მაღლაკელიძე შ, მალაზონია დ, ლობჟანიძე ს, ბურდული გ, (რედ). 2018წ, სამოქალაქო განათლება და დემოკრატია საქართველოში, გამოწვევები და განვითარების გზები, გვ. 114-115-118, თბილისი, მოძიებული (02.06.2021წ) https://cure.erasmus-plus.org.il/pluginfile.php/3588/mod_resource/content/1/Curricular%20Reform%20For%20Democratic%20Principles%20and%20Civic%20Education%20in%20Georgia.pdf;

4. პოლიტიკური მოღვაწეების და საჯარო სექტორში წამყვანი ფიგურების ხელფასები, როგორიცაა პოლიცია და თავდაცვა, თავად საზოგადოების მიერ უნდა იქნას დამტკიცებული.

დემოკრატიულ სამყაროში ხელისუფლების მართვის სადავეები ქვეყნის მოქალაქეების ხელშია და ადამიანებმა არ უნდა გამოიჩინონ სისუსტე მთავრობის მიმართ დამოკიდებულებასა თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ვინაიდან ეს განამტკიცებს ხალხის ძალაუფლებას. მოქალაქეები არამარტო აძლევენ ხმას პოლიტიკოსთა ხელისუფლებაში მოსვლას, არამად მათ ის მოვალეობაც აკისრიათ, რომ მთავრობამ სწორი გზიდან არ გადაუხვიოს, რაც ხელისუფლებაზე მუდმივი კონტროლით მიიღწევა. დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ფეოდალურ-მონარქიული მმართველობები, სადაც ადამიანის ვალდებულებად მმართველთა ბრძანებების (კაპრიზის) შესრულება მიიჩნეოდა. ახლა ძალაუფლების ვექტორი რადიკალურად არის შეცვლილი. ფორმულირება - ხალხი ემსახურება მმართველს უარყოფილია და მის მაგიერ ვამბობთ - მთავრობაა ხალხის მსახური. სამწუხაროდ, დღესდღეობით საზოგადოებაში არ არსებობს საფუძველი ასეთი შეხედულებისთვის, ვინაიდან ჩვენ არ ვიღებთ საკმარის პასუხისმგებლობას იმაზე, რომ აქტიურად ჩავებათ პოლიტიკურ პროცესებში და განვახორციელოთ მთავრობის კონტროლი. ეს არცთუ იოლი საქმეა, რადგან მოითხოვს პერსონალურ ცვლილებასაც, მათ შორის, საკუთარი თავის მართვის სწავლას და ჩვენთვის ჩვეული სიხარბისა და მომხვეჭელური მოთხოვნილების დაძლევას.

ყველაზე გავრცელებული განმარტებით მთავრობას აკისრია საზოგადოების დამცველის როლი – ხელისუფლება ძალადობისაგან იცავს საკუთარ მოქალაქეებს. თომას ჰობსის „ლევიათანი“ სამყაროს, მთავრობის გარეშე, სასტიკ, სახიფათო ადგილად წარმოაჩენს. მთავრობა კი კანონს და წესრიგს უზრუნველყოფს, მოქალაქეებს ერთმანეთისა და გარეშე მტრებისგან

იცავს. ქმედითუნარიანი მთავრობის არ არსებობით გამოწვეული მძიმე შედეგები არაერთ სახელმწიფოში ფიქსირდება - ომის, ქაოსისა და უწესრიგობის წინააღმდეგ, სამხედრო დაჯგუფებების ძარცვისგან თავდასაღწევად, მოქალაქეებმა შეიძლება დესპოტური მთავრობა არჩიონ (მაგ., თალიბანი და ისლამური სახელმწიფო), რაც საზოგადოებას ახალი საფრთხეების წინაშე აყენებს. მთავრობის, როგორც დამცველის შესახებ არსებული გაგება მოითხოვს გადასახადების აკრეფას შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის დასაფინანსებლად, სასამართლოების და ციხეების ასაშენებლად, მაღალი თანამდებობის პირების ასარჩევად ან დასანიშნად იმ კანონების განსახორიელებლად, რომელთა დარღვევაც მოქალაქეებს ეკრძალებათ. რაც შეეხება საფრთხეებს, მთავრობას, როგორც დამცველს, სჭირდება უნარი აწარმოოს მოლაპარაკებები სხვა სახელმწიფოებთან, ასევე ებრძოლოს კიდეც მათ. მთავრობის ფუნქციის ეს მინიმალისტური ხედვა ნათლად წარმოჩინდა ამერიკის შეერთებული შტატების საწყის დღეებში, რომლებიც ხასიათდებოდა მმართველი ინსტიტუტების შექმნით (პრეზიდენტი, კონგრესი, უზენაესი სასამართლო და ხაზინა), დამოუკიდებლობისათვის ომის წარმოებით და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობით.

საზოგადოების დამცველის ფუქნცია მთავრობას ადამიანთა იმ პროდუქციით/საშუალებით უზრუნველყოფის ვალდებულებასაც აკისრებს, რომლის მიღწევაც ცალკეულ პირებს არ შეუძლიათ. ამ თვალსაზრისით მთავრობა წარმოადგენს კოლექტიური პრობლემის გადაჭრის და საზოგადოებრივი სიკეთეების შექმნის საშუალებას (მაგ., განათლება, ჯანდაცვა, სოციალური გარანტიები, საკომინიკაციო ტექნოლოგიები, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და სხვ.).

მთავრობის, როგორც „საზოგადოებრივი სიკეთეების უზრუნველმყოფელის“ უფრო ფართო კონცეფციაა სოციალური სახელმწიფო. ამ კონცეფციით მთავრობას შეუძლია მოქალაქეებს

თვითუზრუნველყოფის უუნარობა შეუმსუბუქოს, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, ხანდაზმულობის, ავადმყოფობის, უნარშეზღუდულობის და უმუშევრობის დროს. სოციალური სახელმწიფო უზრუნველყოფს საჭირო ტექნიკური შესაძლებლობების ფართოდ ხელმისაწვდომობას, რათა მოქალაქეებს მიეცეთ გარანტირებული სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობა. მართვის ასეთი მოდელი აძლიერებს სოციალურ სამართლიანობას და მოქალაქეთა ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

მთავრობის საქმიანობა და მისი წარმატებული პერსპექტივა ემყარება საზოგადოების დაცვისა ვალდებულებებს. მთავრობა გააგრძელებს საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ზრუნვას იმ დონემდე, რაც საჭიროა კონკურენტუნარიანი ეკონომიკისა და ეფექტური საზოგადოების უზრუნველსაყოფად გლობალური მასშტაბით. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია ხელისუფლებამ დააბანდოს კაპიტალი მოქალაქეთა შესაძლებლობების განვითარებაში, რათა მათ მისცეს სწრაფად და უწყვეტად ცვალებად გარემოში თვითუზრუნველყოფის შესაძლებლობა.

მთავრობის, როგორც ინვესტორის აღქმა მომდინარეობს თანამედროვე სამეწარმეო კულტურიდან. ტექნოლოგიების მწარმოებელმა გრეგორ ფერენშტაინმა გამოკითხა „სილიკონის ველის“ მფლობელები და დაასკვნა, რომ „მათ ისეთი მთავრობა სურთ, რომელიც იქნება საკუთარი მოქალაქეების ინვესტორი და არა კაპიტალიზმისგან დამცველი“. მათ სურთ, რომ მთავრობამ აქტიურად დააფინანსოს განათლება, წაახალისოს აქტიური მოქალაქეობა, ფოკუსირებული იყოს სავალდებულო საერთაშორისო სავაჭრო კავშირების დამყარებასა და ლეგალური იმიგრანტებისთვის საზღვრების გახსნაზე“. ერიკ შმიდტის აზრით - „სიახლეების, უფლებამოსილების და შემოქმედებითობის კომბინაცია იქნება ჩვენი პრობლემების გადაჭრის გზა“. რეალურად მთავრობას, როგორც ინვესტორს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სკოლების დაფინანსება და საზღვრების კონტროლია. მთავრობებმა კაპიტალდაბანდება უნდა

განხორციელონ არამხოლოდ მოქალაქეთა შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, არამედ ისეთი რესურსებისა და ინფრასტრუქტურის შესაქმნელადაც, რაც მოქალაქეებს მისცემთ საშუალებას საკუთარი ქმედებით და მთავრობისგან მაქსიმალური დისტანცირებით მიაღწიონ მასშტაბურ წარმატებებს.[14]

&2.3 აქტიური მოქალაქეობა

დემოკრატიის განვითარება ქვეყანაში აქტიური მოქალაქეების არსებობასთან პირდაპირ კავშირშია. რაც უფრო მეტი მოქალაქე მონაწილეობს დემოკრატიულ პროცესებში, ქვეყნის მართვას ხელისუფლება გაზრდილი პასუხისმგებლობით ეკიდება. შესაბამისად, მოქალაქის ერთგვარი მორალური ვალდებულებაა, მაქსიმალურად გამოიყენოს კონსტიტუციით და კანონით მინიჭებული შესაძლებლობები და აქტიურად ჩაერთოს სახელმწიფოს, ან თუნდაც საკუთარი ქალაქის ან მუნიციპალიტეტის მართვაში. თანამედროვე გაგებით აქტიური მოქალაქეობა მოითხოვს, რომ ადამიანები იყვნენ ინფორმირებულნი საზოგადოებრივი პრობლემების შესახებ, ფლობედნენ შესაძლებლობას ერთად იმუშაონ მათ გადასაწყვეტად და საერთო სარგებლიანობის მისაღწევად. თანამედროვე მსოფლიოში საზოგადოების სამოქალაქო ჩართულობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან მაღალი სამოქალაქო ცნობიერების, მოქალაქეობრივი მოწოდების, აქტიური მოქალაქის არსებობა საზოგადოებრივი

[14] ბურდული გ, მაღლაკელიძე შ, მალაზონია დ, (რედ), 2019წ, საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის-აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობა, გვ. 58-61 ჩთ, თბილისი, მოძ. (05.06.2021წ) https://cure.erasmus-plus.org.il/pluginfile.php/3651/mod_resource/content/2/Promoting%20Active%20Citizenship%20-Kit%20in%20Georgian%20Language.pdf

კეთილდღეობის აუცილებელ წინაპირობად ითვლება. სამოქალაქო საზოგადოება ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას. საზოგადოებაში დემოკრატიის დამკვიდრება არ არის მარტივი პროცესი. დემოკრატიის არსებობისთვის საჭიროა მთელი საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა მისი მთავარი პრინციპების დანერგვისა და განხორციელებისათვის. დემოკრატიის მნიშვნელოვანი საზომია სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობის დონე, რადგან ჭეშმარიტი დემოკრატია ხელს უწყობს ადამიანთა აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეები საკუთარი ინტერესების მიხედვით ვითარდებიან, იყენებენ თავიანთ უფლებებს, იღებენ პასუხისმგებლობას საკუთარ და გარშემომყოფთა კეთილდღეობაზე. ისინი ცოდნაზე არიან ორიენტირებულნი, რადგან განათლება, მართალია, ყველა სახის საზოგადოებისთვის არის საჭირო, მაგრამ განსაკუთრებით დემოკრატიული საზოგადოებისთვისაა მნიშვნელოვანი. სამოქალაქო განათლება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს აქტიურ მოქალაქეობას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. აქტიური მოქალაქე საზოგადოებრივ ინტერესებს კერძოზე მაღლა აყენებს. ასეთი მსოფლმხედველობის მქონე მოქალაქეების სიმრავლე განაპირობებს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებასა და მათ დინამიურ განვითარებას. შესაბამისად, აქტიური მოქალაქე იმგვარ ინდივიდს წარმოადგენს, რომელიც ერთი მხრივ იზიარებს საზოგადოებრივ ღირებულებებს, მეორე მხრივ კი, თავად იღწვის საზოგადოების განვითარებისათვის. ეს კონცეფცია მორალური და ეთიკური პრინციპებიდან გამომდინარეობს და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების გრძნობას უკავშირდება. ამ პრინციპების მიხედვით, საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაში მონაწილეობა მოქალაქეობის კარგად გაცნობიერებული, სრულუფლებიანი წევრობის სურვილის მქონე ინდივიდებს შეუძლიათ, რომლებიც, ერთი მხრივ, საკუთარ სარგებელს ხედავენ სახალხო

სიკეთისა და შესაძლებლობების სამართლიანად და დამსახურებულად გამოყენებაში, ხოლო მეორე მხრივ, სურთ რომ სხვებმაც ისარგებლონ იდენტური სიკეთეებითა და შესაძლებლობებით. რას გულისხმობს აქტიური მოქალაქეობა? ეს არის ცნება, რომელიც აღწერს ადამიანების ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებასა და საქმეში. ეს შეიძლება ხდებოდეს როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

აქტიურ მოქალაქეობას სხვადასხვა მკვლევარი განსხვავებულად განმარტავს. მაგალითად, ტესსა ბრანანი და სხვები თვლიან, რომ აქტიური მოქალაქეობა არ ნიშნავს რომელიმე პოლიტიკური გაერთიანების პასიურ წევრობას. ის აქტიურობას მოქალაქეობის უმნიშვნელოვანეს პირობად თვლის (Brannan, John, Stoker, 2007). მკვლევართა აზრით, აქტიური მოქალაქეობა ხაზს უსვამს იმ უფლებებს, რომლებიც აუცილებელია, რათა დავიცვათ ინდივიდუალური თავისუფლება (მაგ, სიტყვის თავისუფლება, სინდისის თავისუფლება და სხვა);

აქტიური მოქალაქეობა მრავალი ტიპის ჩართულობასა და მონაწილოებას გულისხმობს. დემოკრატიული სახელმწიფოების გამოცდილებაზე დაყრდნობით მკვლევარები გამოყოფენ აქტიური მოქალაქეობის 7 ძირითად ინდიკატორს: ა) მოხალისეობრივი მუშაობა ორგანიზაციებსა და ქსელებში; ბ) საზოგადოებრივი/სათემო ღონისძიებების ორგანიზება და საქმიანობა; გ) არჩევნებში მონაწილეობა; დ) პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა; ე) ინტერესის ჯგუფებში ჩართულობა; ვ) მშვიდობიან პროტესტებში მონაწილეობა; ზ) საჯარო დებატებში მონაწილეობა.

აქტიური საზოგადოებრივი პოზიციის მქონე მოქალაქეების სიმრავლე განაპირობებს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებასა და დემოკრატიული საზოგადოების დინამიურ განვითარებას. აქტიური და

ეფექტური მოქალაქეობის მისაღწევად აუცილებელია შემდეგი უნარების კომპლექსური განვითარება:

• კომუნიკაციური - აერთიანებს კვლევისა და ანალიზის, საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბების, დებატებისა და დისკუსიის წარმართვის უნარ-ჩვევებს;

• სააზროვნო - აერთიანებს ანალიზის, სინთეზის, დასაბუთების, რეფლექსიის და შეფასების უნარ-ჩვევებს;

• თანამშრომლობითი - აერთიანებს გუნდში მუშაობის, საკუთარი როლის და ფუნქციის დანახვის, გუნდის წევრთა დაფასების, მათთან ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს;

• პრობლემის გადაჭრის - აერთიანებს კონფლიქტების პრევენციისა და დარეგულირების, მედიატორულ და ფასილიტატორულ უნარ-ჩვევებს;

• შრომითი - აერთიანებს საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის მოქმედების, საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისა და შედეგზე ორიენტირებულობის უნარ-ჩვევებს.

შეიძლება ითქვას, აქტიური მოქალაქეობა არის უფლებებისა და მოვალეობების დაბალანსებული გაცნობიერება. ხშირად პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მოქალაქის უფლებებისგან განსხვავებით, რაც კანონებში ნათლად არის გაწერილი, პასუხისმგებლობები არ რის სათანადოდ განსაზღვრული. მაგალითად, არჩევნებზე მისვლა არ არის კანონით სავალდებულო და დასჯადი, შესაბამისად არიან ადამიანები ვისთვისაც ეს პირადი პასუხისმგებლობის საგანია, მაგრამ ასევე არიან ადამიანები, რომლებიც არ თვლიან თავს მოვალედ მონაწილეობა მიიღონ მსგავს საზოგადოებრივ აქტივობებში.

მკვლევართა აზრით, აქტიურ მოქალაქეობას აქვს ოთხი მიმართულება, რაც დაკავშირებულია სამოქალაქო პრაქტიკასთან. ეს მიმართულებებია:

1. უფლებამოსილება/შესაძლებლობა (როგორ შეუძლიათ ადამიანებს იმოქმედონ საკუთარ უფლებებზე დაყრდნობით);

2. კავშირი (სხვებთან ურთიერთობა);

3. გამოწვევა;

4. კონტექსტი (რამდენად აცნობიერებს ხალხი მრავალფეროვანი არჩევანის შესაძლებლობას სოციალური პრაქტიკის დროს) (Clarke, Missingham, 2009).

მკვლევარები აქტიური მოქალაქეობის 10 პრინციპს ასახელებენ:

1. აქტიური მოქალაქეობა ეხება ყველას;

2. ყველას გვაქვს უფლებები და პასუხისმგებლობები;

3. აქტიური მოქალაქეობა ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს: მიმღეობა, თანასწორობა და სოლიდარობა;

4. ძლიერი და ჯანსაღი თემისთვის მისაღებია კულტურული მრავალფეროვნება;

5. ღიაობა, პასუხისმგებლობა და ნდობა ზრდის ჩართულობას დემოკრატიულ და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;

6. აქტიური მოქალაქეობის ერთ-ერთი საფუძველია ნებისმიერ მოქალაქეს, სოციალური სტატუსის მიუხედავად, შესძინო გადაწყვეტილების მიღების უნარი და მიანიჭო ძალაუფლება;

7. დიალოგი ხელს უწყობს ხელისუფლებას, მოქალაქეს და თემს ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებაში;

8. საზოგადოების წარმატება დამოკიდებულია მოქალაქეების, სამოქალაქო საზოგადოების, არჩეული სახალხო წარმომადგენლების, საჯარო სამსახურების, ბიზნესისა და სავაჭრო წრეების თანამშრომლობაზე;

9. ადამიანი არ იბადება, არამედ ყალიბდება აქტიურ მოქალაქედ - სწავლა სიცოცხლის მანძილზე ხელს უწყობს მას განვითარებაში ცხოვრების თითოეულ საფეხურზე;

10. აქტიური მოქალაქეობა საჭიროებს ლიდერობას - საკუთარ თემში ჩვენ ყველანი პოტენციური ლიდერები ვართ (Report of the Taskforce on active Citizenship, 2007).

როგორ შეიძლება ადამიანები გახდნენ უფრო აქტიურები საკუთარ თემში? უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური როლის თამაშისა და პოზიტიური წვლილის შეტანის სურვილი. არსებობს სხვადასხვა გზა, რითაც შეიძლება მივაღწიოთ საზოგადოებრივ აქტიურობას. მაგალითად: ადამიანების ჩართულობა და მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში, მოხალისეობრივ აქტივობებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, საკუთარი თემისა თუ გარემოს მხარდასაჭერად გადაწყვეტილებების მიღებაში და სხვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აქტიური მოქალაქეობისთვის ახალგაზრდების წახალისება და მხარდაჭერა. დღეისათვის ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა და ერთ-ერთი პრიორიტეტულია მთელ მსოფლიოში. განათლების სისტემაში შეტანილი ცვლილებები ითვალისწინებს ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას იმისათვის, რომ იყვნენ კანონმორჩილნი და გამოირჩეოდნენ პოზიტიური ქმედებით, განავითარონ ურთიერთობები სასკოლო გარემოს გარეთ, დაუპირისპირდნენ დისკრიმინაციას, ჰქონდეთ ნდობა საკუთარი სახელმწიფოსა და საზოგადოების მიმართ, რათა წარმატებით გაუმკლავდნენ ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებებზე არსებულ გამოწვევებს, ცვლილებებს და იყვნენ ღირსეული მოქალაქეები.[15]

ამ მხრივ საქართველოში პოზიიური ნაბიჯები იდგმება. 2019 წლის სექტემბერში დაარსდა ახალგაზრდობის სააგენტო, რომელიც სამთავრობო

[15] ბურდული გ, მაღლაკელიძე შ, მალაზონია დ, (რედ), 2019წ, საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის-აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობა, გვ. 50-68 ჩ ჩთ, თბილისი, მოძიებული. (06.06.2021წ) https://cure.erasmus-plus.org.il/pluginfile.php/3651/mod_resource/content/2/Promoting%20Active%20Citizenship%20-Kit%20in%20Georgian%20Language.pdf;

უწყებაა და თავის თავში აერთიანებს იქამდე არსებულ ახალგაზრდობის თემატიკაზე მომუშავე სამ უწყებას: განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროში არსებული – ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის დეპარტამენტი, სსიპ-ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი და ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ფონდი.[16]

ახალგაზრდობის სააგენტო, არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, შექნილია სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავების, განხორციელებისა და კოორდინაციის მიზნით. სააგენტოს უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდების განვითარება, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში დემოკრატიული და აქტიური მონაწილეობისთვის ხელსაყრელი ეკოსისტემის შექმნა და მისი მდგრადი განვითარება; ახალგაზრდებში ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო კომპეტენციების, ახალგაზრდული სფეროს, მათ შორის ახალგაზრდული ორგანიზაციების, ახალგაზრდული საქმიანობისა და მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარება. ახალგაზრდული მუშაკის პროფესიის დანერგვა და მხარდაჭერა ახალგაზრდობის სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. მიმართულება ეფუძნება ევროპულ გამოცდიელბაზე დაფუძებულ ხედვას და მუშაობს სპეციალურად განვითარებული სტარეტგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად. საქართველოში, ახალგაზრდული მუშაკის, როგორც პროფესიის დამკვიდრება, ჯერ საწყის ეტაპზეა. პროფესიის ინსტიტუციონალიზაცია გულისხმობს ახალგაზრდულ პოლიტიკაში მისთვის ლეგალური ადგილის დამკვიდრებას; პროფესიისთვის კონკრეტული როლის მინიჭებას, რომელიც შესაბამის ღირებულებებზე იქნება დაფუძნებული და საზოგადოებაში პროფესიის მიმართ რწმენისა და პატივისცემის დამკვიდრებას. ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუციონალიზაციის პროცესი ხელს უწყობს

[16] მოძიებული. (15.06.2021წ) https://youthagency.gov.ge/;

ახალაგზრდული საქმიანობის სფეროს განვითარებას სისტემაში ახალი კომპეტენტური ძალის დამკვიდრებით.[17]

III თავი. ადგილობრივი თვითმმართველობა და მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობები

3.1 მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგიები და შესაძლებლობები

დელიბერაციული მოდელი გულისხმობს მოქალაქეთა აქტიურ ჩართულობას სამოქალაქო-პოლიტიკურ საქმიანობაში დისკუსიებისა და განხილვის პროცესში მონაწილეობის გზით, რომელიც წარმოაჩენს გადაწყვეტილებათა ალტერნატიულ გზებს და ამავე დროს, აღრმავებს თანამშრომლობით პროცესებს მოქალაქესა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის. თუმცა, თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნა მთელი რიგი სტრატეგიები, რომლებიც ხელს უწყობენ ინფორმირებული და გააზრებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და, რაც მთავარია , ორიენტირებული არიან შედეგზე, რომელიც კონსესუსის საფუძველზე მიიღება. მათგან რამდენიმე სტრატეგიას განვიხილავთ.

[17] მოძიებული. (15.06.2021) https://youthagency.gov.ge/;

სამოქალაქო მრჩეველთა ჯგუფი. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვანია მოქალაქეთა კონსულტაციის საფუძველზე საჭიროებების დადგენა და მათი კომპეტენციების გამოყენებით გადაწყვეტილების მიღება და იმპლიმენტაცია. შესაბამისად, მოქალაქეთა, მრჩეველთა საბჭოებისა და კომისიების შექმნა, აპრობირებულ სტრატეგიას წარმოადგენს. სამოქალაქო მრჩეველთა ჯგუფები იძლევა მოქალაქეთა, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი ჩართვის შესაძლებლობას, რამდენადაც მოქალაქეები ეცნობიან წარმოდგენილ საკითხებს შინაარსობრივად, ხდება კონსულტაცია და მოსაზრებათა გაცვლა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის. ამასთანავე, ეს მექანიზმი საშუალებას იძლევა შეიქმნას ხიდი მმართველებსა და მართულებს შორის. მსგავსი ჯგუფის შექმნის ინიციატორი შესაძლებელია იყოს, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი, ასევე თავად მოქალაქეებიც. პირველი დაინტერესება საზოგადოებისაგან კონსულტციის მიღებაა, მოქალაქეების კი მათზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღება. მრჩეველთა ჯგუფებში მონაწილეობა, როგორც წესი, არ ნაზღაურდება და სამოხალისეო პრინციპზეა დაფუძნებული, მაგრამ სამუშაო სივრცით, როგორც წესი, ადგილობრივი ხელისუფლება ეხმარება. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ითვალისწინებს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობას და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდას. აღნიშნული მიზნის მიღწევა ამ ორგანოს შეუძლია საჯარო განხილვებისა და დისკუსიების ორგანიზებით, რითაც ხელს უწყობს საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ზრდას და ამავე დროს იზრდება მმართველთა ანგარიშვალდებულების კულტურაც. მაგალითად, 2015 წელს ქ. ბათუმის მრჩეველთა საბჭომ გაავრცელა მიმართვა, სადაც ხაზს უსვამდა, რომ ბათუმის ბიუჯეტში შემოსული ცვლილება, რომელიც ითვალისწინებდა რეკლამის საერთაშორისო

ფესტივალის 400 000 ლარით დაფინანსებას, ეჭვის საფუძველს ბადებდა. კერძოდ, ფესტივალის ბათუმში ჩატარების შესახებ განცხადება გაკეთდა ბათუმის თვითმმართველობის თანხმობის გარეშე. ბიუჯეტიდან ისედაც ფინანსდება ოთხი ფესტივალი, რომლის საერთო დანახარჯი 290 000 ლარია და როცა ქალაქის ბიუჯეტიდან ყოველთვის რთულია ფინანსური სახსრების მოძებნა პრიორიტეტების კვლევის, ქალაქის ურბანული განვითარების გეგმის, თუ სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების განსახორციელებლად, რამდენად ლოგიკურია ამ ფესტივალის 400 000 ლარით დაფინანსება (ბათუმელები.09.04.2015). იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტებში მრჩეველთა საბჭო იქმნება სამოქალაქო საწყისებზე და მის შემადგენლობაში შედიან კერძო და სამოაქალაქო სექტორის, მედიის წარმომადგენლები, ის საშუალებას იძლევა გახდეს ეფექტური ბერკეტი ძლიერი თვითმმართველობის ჩამოყალიბების პროცესში.

თანამონაწილეობითი ბიუჯეტის შემუშავება. ადმინისტრაციული ერთეულების ბიუჯეტის დაგეგმვა და განხორციელება მნიშვნელოვანი პროცესია და მოქალაქეების ჩართვა მას უფრო მეტად ეფექტურს და გამჭვირვალეს ხდის. ბიუჯეტის მოქალაქეებთან ერთად დაგეგმვის პროცესი „თანამონაწილეობითი ბიუჯეტის“ სახელწოდებით არის ცნობილი და ბოლო 20 წლის მანძილზე მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთ პოპულარულ მეთოდს წარმოადგენს, რომელიც ლათინურ ამერიკაში , კერძოდ ბრაზილიაში, წარმოიშვა და მოგვიანებით მთელ მსოფლიოში გავრცელდა. თანამონაწილეობითი ბიუჯეტი ერთგვარი შესაძლებლობების ფანჯარაა, როგორც მოქალაქეებისთვის, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. აღნიშნული სტრატეგიის ძლიერი მხარეა ასევე ის თავისებურება, რომელიც მოითხოვს მასში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას, რის გარეშეც პროცესის წარმატებით წარმართვა შეუძლებელია. ჩართულ აქტორთა შორის შესაძლებელია გამოვყოთ:

1) სამოქალაქო ორგნიზაციები, რომელთაც აქვთ მოსახლეობის ორგანიზების, საინფორმაციო კამპანიების ჩატარების შესაძლებლობა და რესურსები;

2) ბიზნესისა და საწარმოების წარმომადგენლები , ფინანსური თვალსაზრისით მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ქალაქის ფუნქციონირების საქმეში;

3) სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები, რათა მოხდეს საზოგადოების ყველა სეგმენტის მოთხოვნილებათა შესწავლა და შესაბამისიპრიორიტეტების განსაძღვრა;

4) მედიის წარმომადგენლები, აღნიშნულ პროცესში ინფორმაციის გავრცელება უმნიშვნელოვანესია, შესაბამისად ადგილობრივ მედიას აქვს რესურსი ჩაერთოს მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებისა და მასების მობილიზაციის პროცესში;

5) განმანათლებლები და ტრენერები, რომელთაც აქვთ კვალიფიკაცია შეუძლიათ მოქალაქეებს გადასცენ ცოდნა და დაეხმარონ შესაბამისი უნარების განვითარებაში.

თანამონაწილეობითი ბიუჯეტის მომზადების პროცესი კომპლექსურია და ის გარკვეული ღონისძიებების გატარებას ითვალისწინებს. კერძოდ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა შეიმუშაონ საბიუჯეტო კალენდარი და განსაზღვრონ თუ რომელ ეტაპზეა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასარგებლო მოქალაქეთა ჩართვა; ბიუჯეტირების პროცესის გამჭვირვალედ წარმართვა, რათა მოქალაქეებმა გაიგონ თუ რეალურად როგორ იხარჯება მათ მიერ გადახდილი გადასახადები; შესაბამისად, რათა მოქალაქეებს გაუჩნდეთ ნდობა

აღნიშნული პროცესისადმი. ქალაქის განვითარების გეგმის მომზადება და მოქალაქეებისთვის გაცნობა, ასევე, არსებული სტრატეგიული გეგმის შესახებ ინფორმაცია მაქსიმალურად დეტალური ენით მიეწოდება მოსახლეობას, რათა თავად ჩაერთონ მოქალაქეზე ანუ მათზე მორგებული ქალაქის დაგეგმვისა და იმპლემენტაციის პროცესში. თანამონაწილეობითი ბიუჯეტის შემუშავების განსხვავებული პრაქტიკაც არსებობს და შესაძლებელია მისი ადგილობრივ თავისებურებებზე მორგება. მაგალითად, ესპანეთის ქალაქი კორობა (320, 000 მაცხოვრებელი), სადაც თანამონაწილეობითი ბიუჯეტის შემუშავება 2001 წელს დაიწყო, შესაძლებელია შეფასდეს, როგორც „პორტუ-ალეგრის მოდელის ევროპისთვის ადაპტირება“. ამ მაგალითში აქტორები არიან არა მოქალაქეები, არამედ ასოციაციები, ფედერაციები და სხვადასხვა ორგანიზებული ჯგუფის წარმომადგენლები და მას შეიძლება „ორგანიზებული ინტერესის თანამონაწილეობა“ ვუწოდოთ.

ბიუჯეტის მომზადების პროცესში მოქალაქეთა ჩართვის მცდელობას წარმოადგენდა თბილისის მერიის ინიციატივა „დაგეგმე შენი ქალაქის ბიუჯეტი“, რომლის ფარგლებშიც უნდა მომხდარიყო ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრა. ანკეტები რიგდებოდა როგორც მოსახლეობაში, ასევე მისი შევსება შესაძლებელი იყო ელექტრონული სახითაც. აღნიშნული ჩართულობის მეთოდის გამოყენება საკმაოდ ეფექტურია, მაგრამ ამავე დროს მოითხოვს მთელ რიგ წინაპირობებს. როგორიცაა: საზოგადოების მაღალი თანამონაწილეობითი კულტურა, რომელიც უბიძგებს მათ ჩართულობისაკენ; ასევე, აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციები და ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც მოახდენენ ინტერესთა ჯგუფების არტიკულაციას; ბიუჯეტირების პროცესის შესახებ ინფორმაციის ფლობას და, რაც მთავარია, ადგილობრივი ხელისუფლების მზადყოფნას ჩართონ მოქალაქეები და გაითვალისწინონ მათი საჭიროებები, ამ ყველაფრის განხორციელება თბილისის შემთხვევაში ვერ მოხერხდა.

თანამონაწილეობითი ბიუჯეტის დაგეგმვის კიდევ ერთ მცდელობას წარმოადგენს ქვემო ქართლში, კერძოდ, მარნეულში ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივა, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობას საშუალება ეძლევა თავად განსაზღვროს ბიუჯეტის პრიორიტეტები. აღნიშნული პროექტის განხორციელებას თან ახლდა სემინარები, რომელიც მიზნად ისახავდა მონაწილეებში პრობლემის იდენტიფიცირებას, მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრის და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებას. განსხვავებით საქართველოს დედაქალაქის მაგალითისაგან, ამ შემთხვევაში ბიუჯეტირების პროცესი გაცილებით უფრო მეტად დაგეგმილია და საწყის ეტაპზე ორიენტირებულია ამ თემატიკაზე მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებაზე, სტრატეგიის მნიშვნელობის გაგებაზე, რაც ზრდის მოქალაქეთა მოტივაციას და პროცესს უფრო მდგრადობას სძენს.

საჯარო მოსმენა. გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმულობას. კონსესუსის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება ამარტივებს მისი განხორციელების შესაძლებლობას. ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ტექნიკას საჯარო განხილვა წარმოადგენს. ეს არის ერთგვარი ფორუმი, სადაც მოქალაქეები საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ხელისუფლების წარმომადგენლები ხვდებიან ერთმანეთს, უზიარებენ ინფორმაციას, იდეებს, პროექტებს, სანამ უშუალოდ განხორციელების ეტაპზე გადავლენ. შესაბამისად, საჯარო მოსმენა, როგორც წესი, იმართება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელისუფლება იწყებს რაიმე ინიციატივის განხორციელებას და სჭირდება საზოგადოებისაგან მიიღოს კონსულტაცია და ამავე დროს, მისი საქმიანობა იყოს ლეგიტიმური.

საჯარო მოსმენა ერთგვარი ანგარიშვალდებულების ინსტრუმენტია, რაც არჩეულ მოქალაქეთა წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს გაიარონ კონსულტაცია ამომრჩევლებთან, წარუდგინონ საქმიანობის ანგარიში, ხოლო მოქალაქეებისთვის ერთგვარი აზრის დაფიქსირებისა და მათ საჭიროებებზე მორგებული შედეგების მიღების საშუალებაა. ამასთანავე, მოქალაქეებმა იციან, რომ მათი მოსაზრება, კრიტიკა თუ რჩევა გათვალისწინებული იქნება. ის, როგორც წესი, ყველა მოქალაქისთვის ღიაა ამიტომაც დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იყოს მოსაზრების მიწოდების ალტერნატიული შესაძლებლობები მათთვის, ვინც პროცესში ჩართვას ვერ ახერხებს (მაგ. ფოსტით, ელ-ფოსტით, სატელეფონო შეტყობინებით და ა.შ.).

საჯარო მოსმენა, ისევე როგორც მოქალაქეთა ჩართულობის სხვა მეთოდოლოგია, მოითხოვს სამოქალაქო კულტურის გარკვეულ დონეს, მოქალაქეთა ინფორმულობას, გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების გამჭვირვალე პრაქტიკის ქონას ან სურვილს მაინც. ამიტომაც, გარდამავალ საზოგადოებებში ჩართულობის წახალისების პრაქტიკის დაგეგმვისას საჯარო მოსმენა ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებულ ინსტრუმენტს წარმოადგენს. (holder, zakharchenko 2002 გვ.72).

საქრთველოშიც, ადგილობრივი თვითმმართველობის შესწავლისას მოქალაქეთა ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები საკუთარ გამოსვლებში ხშირად აღნიშნავენ, რომ მოქალაქისთვის დღეს ბევრად მარტივია ჩერთოს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში, თუმცა საზოგადოებაში ჯერ კიდევ არის განწყობა, რომ მის სიტყვას არ მოუსმენენ, რაც გარკვეულწილად ხსნის იმ ფაქტს, რომ თვითმმართველობების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, მათ შორის საჯარო განხილვებში, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები უფრო

ხშირად მონაწილეობენ, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქეები. როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ისე სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ინიციატივით ტარდება საჯარო მოსმენები, სადაც მოქალაქეთა ჩართულობის მაჩვენებელი დროთა განმავლობაში იზრდება შესაბამისად, იზრდება აღნიშნულ შეხვედრათა ეფექტურობაც. მაგალითად, 2015 წლის 19 მარტს ახალციხის USAID-ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების გეგმის შესახებ საჯარო მოსმენა გაიმართა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. თუმცა, ქართულ კონტექსტში ყველაზე დიდ ნაკლს მოქალაქეთა ჩართულობის ნალებობა წარმოადგენს.

შეფასების ბარათები. შეფასების ბარათები ერთგვარი კვლევის ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია საზოგადოების დამოკიდებულებების გარკვევა ამა თუ იმ საკითხის მიმართ, რათა გაუმჯობესდეს საზოგადოების წევრებისთვის სერვისის მიწოდება. მისი საშუალებით შესაძლებელია როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მონაცემების მოპოვება, სერვისების მიწოდების არსებული სტანდარტებისა და პრობლემების შესახებ, ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე. შეფასების ბარათები, ასევე, კარგი ინსტრუმენტია შედარებითი ანალიზისთვის თუ რამდენად აქვს საზოგადოების ყველა წევრს არსებული რესურსების წვდომა და ხომ არ ხდება რომელიმე ჯგუფის მარგინალიზაცია ან დისკრიმინაცია რაიმე ნიშნის მიხედვით. უშუალოდ საზოგადოებრივი სერვისის მომხმარებელთან უკუკავშირის მიღების შემდეგ მოაცემები კარგი საფუძველია როგორ სააგენტოების, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის სამუშაო გეგმის მოსამზადებლად, რომელზედაც დაყრდნობით შესაძლებელია მმართველობითი პროცესი უფრო მეტად გამჭვირვალე და აგარიშგებაზე ორიენტირებული გახდეს. შეფასების ბარათი

ერთგვარი კვლევის ინსტრუმენტია, რომლის დროსაც მზადდება თვითადმინისტრირებადი კითხვარი, რომელსაც მოქალაქები დამოუკიდებლად, ინტერვიუერის გარეშე ავსებენ. შესაბამისად, ანგარიშ გასაწევია რამდენიმე ეტაპი: კითხვარის მომზადება, რესპოდენტთა შერჩევა, მონაცემთა მოგროვება და გაანალიზება. კითხვარის მომზადებისას გასათვალისწინებელია, კოკრეტულად რისი შესწავლა იგეგმება, ასევე, თავიდან უნდა იქნეს არიდებული მიმართულების მიმცემი და ჰიპოთეტური შეკითხვები, რომელთაც შესაძლოა, კვლევის შედეგზე მოახდინონ ზეგავლენა. რესპოდენტთა შერჩევისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას მისი რეპრეზენტაბელურობა , ანუ გამოკითხულთა რაოდენობა შეესამებოდეს მთლიანად საკვლევ ერთობლიობას და იძლეოდეს შესაძლებლობას მიღებული შედეგები განზოგადდეს ამ ერთობლიობაზე. ამასთანავე, შეფასების ბარათების გამოყენება მოითხოვს მნიშვნელოვან დროს, ფინანსურ და ადამიანურ რესურსს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკვლევი ინსტრუმენტის შედგენის, შერჩევისა და მონაცემთა დამუშავების პროცესში, რადგანაც დაშვებულმა შეცდომებმა შეიძლება კვლევის შედეგების სანდოობის ან ვალიდურობის საკითხი დააყენონ.

შეფასების ბარათების საშუალებით შესაძლებელია მივიღოთ შემდეგი სახის ინფორმაცია: რამდენად ხელმისაწვდომია სერვისი; როგორია მისი გამოყენების არეალი; რამდენად ხარისხიანია სერვისი; სერვისის მიღებისას წარმოშობილი პრობლემები; რამდენად ხდება სერვისის მწარმოებელთა მხრიდან ამ პრობლემებზე რეაგირება; სერვისის წარმოების გამჭვირვალობის, მათ შორის ხარისხის სტანდარტისა და ნორმების კონტროლი; სევისის წარმოებისას გაღებული დანახარჯი; რეკომენდაციები სერვისის გასაუმჯობესებლად.

ამ პროცესის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ხელისუფლების წარმომადგენელთა მზაობა ინტერესით მოეკიდონ და გაითვალისწინონ საზოგადოების შეფასება და განწყობები, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარება მოითხოვოს საზოგადოებაში.[18]

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებია:

დასახლების საერთო კრება- (შემდგომ საერთო კრება) არის სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და აღნიშნული მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესებში ქმედით ჩართულობას. საერთო კრების წევრია შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩეველი. საერთო კრებაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის უფლება აქვთ აგრეთვე შეაბამისი დასახლების ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების მესაკუთრეს და ამ დასახლებაში მცხოვრებ სრულწლოვან პირს. კანონი განსაზღვრავა საერთო კრების უფლებამოსილებებს, მისი მოწვევისა და საქმიანობის წესს იმ დასახლებისთვის რომელში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000 არ აღემატება. იმ დასახლებისთვის, რომელში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 500-ს აღემატება, შეიძლება დაწესდეს საერთო კრების დასახლების ცალკეულ ნაწილებში ეტაპობრივად მოწვევის პროცედურა. საერთო კრების დასახლების ნაწილებში გამართვისა და

[18] ბუროუსი გ, აბაშიძე ზ, მუხიგული ქ, დუნდუა ს, ქარაია თ, (რედ) მაცაბერიძე მ, ჯავახიშვილი ლ, დემოკრატია და მოქალაქეობა-საკითხავი მასალა სტუდენტებისთვის (მესამე გამოცემა), 257-265 გვ.ჩთ, (2020წ);

საქმიანობის წესს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო ამ კანონის 85 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად. იმ დასახლებაში, რომელში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საერთო კრების უფლებამოსილებები, მისი მოწვევისა და საქმიანობის წესი განსაზღვროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით, აგრეთვე ამ დასახლებაში შექმნას რამდენიმე საერთო კრება და, ამ კანონის გათვალისწინებით განსაზღვროს მათი უფლებამოსილებანი, სხელწოდებები და საქმიანობის წესი. საერთო კრება უფლებამოსილია თავისი საქმიანობის წარმართვის და მისი ხელშეწყობის მიზნით საკუთარი შემადგენლობიდან აირჩიოს საერთო კრების რჩეული. საერთო კრების რჩეულის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს შესაბამისი საერთო კრების წევრთა არანაკლებ 5%-ს. საერთო კრების რჩეული უძღვება საერთო კრებას, უზრუნველყოფს საერთო კრების გადაწყვეტილების მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოებისთვის წარდგენას, აგრეთვე ასრულებს საერთო კრების ცალკეულ დავალებებს. საერთო კრების რჩეულის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება მომდევნო საერთო კრების შეკრებამდე ვადით. საერთო კრების კრების რჩეულის უფლებამოსილება ავტომატურად გრძელდება, თუ მომდევნო საერთო კრების ახალ რჩეულს არ აირჩევს. საერთო კრების რჩეულის უფლებამოსილება ავტომატურად შეიძლება გაგრძელდეს ზედიზედ 5-ჯერ. საერთო კრების საქმიანობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქალისა და მამაკაცის თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა.

საერთო კრება უფლებამოსილია:

ა) განიხილოს შესაბამისი დასახლებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომკიური საკითხები და მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად მოამზადოს შესაბამისი წინადადებები;

ბ)განიხილოს შესაბამის დასახლებაში განსახორციელებელი პროექტები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მათ ასახვამდე და მუნიციპალიტეტის ორგანოებს წარუდგინოს დასაბუთებული შენიშვნები და წინადადებები;

გ) განიხილოს მუნიციპალიტეტში მინდინარე და განსახორციელებელი პროექტები და მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად მოამზადოს შესაბამისი შენიშვნები და წიადადებები;

დ) ოგანიზება გაუწიოს შესაბამისი დასახლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში, კერძოდ, დასახლების ტერიტორიის დასუფთავებაში, საქველმოქმედო საქმიანობაში, დასახლების ინფრასტრუქტურის შეკეთებასა და მოწესრიგებაში და სხვა იმ სფეროებში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქრთველოს კანონმდებლობას , და, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისთვის მიმართოს მუნიციპალიტეტის ორგანოებს;

ე) მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის პეტიციის წარდგენის შესახებ; მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით განიხილოს დასახლების საზღვრების დადგენისა და შეცვლის საკითხები და მოამზადოს შესაბამისი წინადადებები;

ვ) მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს წარდგინებით განიხილოს დასახლების ტერიტორიაზე არსებული ქონების მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანის საკითხი და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს წარუდგინოს საკუთარი შენიშვნები;

ზ) განიხილოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ საერთო კრებაზე ინიცირებული საკითხი;

ი)უფლებამოსილების ფარგლებში დავალებები მისცეს საერთო კრების რჩეულს და ასევე განახორციელოს ამ კანონითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

საერთო კრების მოწვევის ინიციირების უფლება აქვთ: ა) შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5%- ს; ბ) მუნიციპალიტეტის მერს-საკუთარი ინიციატივით ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობით; გ) საერთო კრების რჩეულს.

პეტიცია- პეტიციის წარდგენის უფლება აქვთ შემდეგ სუბიექტებს:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს; ბ) საერთო კრებას.

მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია პეტიციის წარდგენის უფლება მიანიჭოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა უფრო ნაკლებ რაოდენობას. საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, საერთო კრების სახელით პეტიციის წარდგენას უზრუნველყოფს საერთო კრების რჩეული ან/და საერთო კრების მიერ უფლებამოსილი პირი. პეტიცია იწერება და შეიტანება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის სახელზე.

პეტიციის სახით შეიძლება წარდგენილ იქნეს: ა) ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის პროექტი; ბ) მოსამზადებელი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული

წინადადებები. მუნიციპალიტეტის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა.

პეტიცია უნდა შეიცავდეს: ა) შესაბამისი განცხადების ტექსტს; ბ) პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების (არაუმეტეს 3 პირისა), სახელს, გვარს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს (არსებობის შემთხვევაში) და საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს; გ) პეტიციის წარდგენის თარიღს; დ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში-შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიას; ე) ამ მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს, ხოლო ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში -მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითად პრინციპებს ან კონკრეტულ წინადადებებს; ვ) ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადპრინციპებს და კონკრეტულ წინადადებებს. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, ამ მუხლის ნორმების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვროს პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენილი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის მუნიციპალიტეტის მერის/რაიონის გამგებლის სათათბირო ორგანო. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. ამ

კანონის შესაბამისად, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი/რაიონის გამგებელი. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს /სემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 წევრით. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილი არ არის, თუ დარღვეულია ამ პუნქტის მოთხოვნა. მუნიციპალიტეტის საბჭოს მერი ვალდებულია მის მიერ დამტკიცებულ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარებისა ოკუმენტები, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების დასახელების შესახებ წინადადებები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები.

მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხვა უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი განისაზღვრება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი.

რაიონის გამგებლის მიერ დამტკიცებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი განისაზღვრება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს რაიონის გამგებელი. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმით. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო იკრიბება არანაკლებ 3 თვეში ერთხელ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა;

მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა- მუნიციპალიტეტის მერი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულნი არიან, წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული წესით მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ამ კანონით განსაზღვრული ფორმების გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.[19]

&3.2 მოქალაქეთა ჩართულობის ახალი ტიპოლოგია

მთელი მსოფლიო, და მათ შორის საქართველო, პანდემიის პირობების შესაბამისად აგრძელებს ცხოვრებას. ასეთ დროს საჯარო

[19] საქარღველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, თავი XI https://matsne.gov.ge/ka/doblication=55cument/view/2244429?pu;

მმართველობას მნიშვნელოვან გამოწვევებთან უხდება გამკლავება. ცნობილია, რომ თანამედროვე კარგი მმართველობის პრინციპების არქიტექტურა ძირითადად მოქალაქეთა მონაწილეობაზეა აგებული, პანდემიის პირობებში კი ეს ვერ ხერხდება - ადამიანებს შორის სოციალიზაცია მინიმუმამდეა შემცირებული; რისკის ფაქტორს წარმოადგენს მოქალაქეებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის კომუნიკაციაც. პანდემიის ფაქტორი კიდევ უფრო ასუსტებს პოლიტიკურ ნებას და ამცირებს შესაძლებლობებს იმისთვის, რომ მოქალაქეთა მონაწილეობის იდეა საფუძვლად დაედოს საჯარო მმართველობის პროცესში კარგი მმართველობის პრინციპის დამკვიდრებას. საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 12 მარტს მიიღო განკარგულება #529 „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“, რასაც მოჰყვა მუნიციპალიტეტების მერებისა თუ საკრებულოს თავმჯდომარეთა შესატყვისი სამართლებრივი აქტები. შესაბამისად, 2020 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული, შემოდგომის მეორე ნახევარსა და ზამთრის დასაწყისში საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში ძირითადად ერთნაირი მდგომარეობაა:

» მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები გადავიდნენ მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე. ეს გადაწყვეტილება მიღებულია იმ პირობებში, როცა მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის დისტანციური და ელექტრონული არხები საკმარისად არ არის განვითარებული - ქვეყანაში ინტერნეტით ტერიტორიის დაფარვისა და მისით სარგებლობის მაჩვენებლები არცთუ სახარბიელოა;

» კანონით განსაზღვრული მოქალაქეთა მონაწილეობის თითქმის ყველა ფორმა (დასახლების საერთო კრება, მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო,

მერის/საკრებულოს წევრთა ანგარიშების საჯარო მოსმენა, საკრებულოს და საკრებულოს კომისიების სხდომებზე დასწრება) საჭიროებს სოციალიზაციის მაღალ ხარისხს, რისი მიღწევაც პანდემიის პირობებში შეუძლებელია;

» ნოემბრის თვეში, მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს, საკრებულოს ეკისრება ვალდებულება, მოაწყოს ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა, რაც ასევე პანდემიის რისკების გათვალისწინებით შეუძლებელია;

» მუნიციპალიტეტი მთლიანად გადართულია მოსახლეობის სოციალურ მხარდაჭერაზე და კიდევ უფრო შემცირებულია მოქალაქეთა მონაწილეობასა თუ გამჭვირვალე მმართველობაზე ორიენტირებული ისედაც სუსტი პოლიტიკური ნება. 2019 წლის შემოდგომიდან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს მთავრობის, მსოფლიო ბანკისა (WB) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) დაფინანსებით, საქართველოს მუნიციპალიტეტებში დაწყებულია ერთიანი ელექტრონული სერვისების დანერგვა. სისტემაში უკვე ორ ათეულზე მეტი მუნიციპალიტეტია ჩართული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ:

» სისტემა ორიენტირებულია მუნიციპალური სერვისების მიწოდების გამარტივებაზე და არ ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის საჭიროებებს;

» ელექტრონულ სისტემაში ავტორიზაცია უკავშირდება გარკვეულ სიძნელეებს, კერძოდ, აპლიკაციაში სრულ ფუნქციონალზე წვდომისთვის აუცილებელი პირობაა ID ვერიფიკაცია;

» სისტემაში ჩართულია 21 მუნიციპალიტეტი. ჯერჯერობით ეს სისტემა არ ფუნქციონირებს გამართულად - ტესტირების რეჟიმშია, რაც შეუძლებელს ხდის მის შეფასებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის თანამედროვე დემოკრატიული სტანდარტებით განხორციელება გულისხმობს მოქალაქეებთან თითქმის ყოველდღიურ კონტაქტს. მიუხედავად ამ ყველაფრისა, სიტუაცია მთლად პესიმისტურიც არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ:

- მსოფლიო ციფრულ და ინტერნეტის ეპოქაშია, ძალიან დიდი სისწრაფით იხვეწება ტექნოლოგიები, მათ შორის პანდემიით გამოწვეული პრობლემების საპასუხოდ ვითარდება 5G ინტერნეტ-ტექნოლოგია;

- თანამედროვე ბაზარი ავითარებს ინტერნეტზე დაფუძნებულ დისტანციურ არხებს მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის.

- კერძო სექტორში იქმნება ახალი შესაძლებლობები, ხოლო საჯარო სექტორი „იძულებულია“, შეეგუოს ახალ რეალობას და ამ რეალობაში გააგრძელოს ოპერირება.

ყველა პირობა არსებობს იმისთვის, რომ ვთქვათ: როგორც უნდა განვითარდეს თანამედროვე საჯარო მმართველობა, ის აუცილებლად ციფრული ფორმატის იქნება.

უკვე საკმაო დრო გავიდა იმის შესაფასებლად, თუ როგორ უპასუხეს განვითარებული დემოკრატიის ქვეყნების მუნიციპალიტეტებმა პანდემიას - თითოეულ ასეთ ქვეყანაში მთავარი პასუხი ამ გამოწვევაზე არის მონაწილეობის ელექტრონული ფორმა, საჯარო მმართველობის პროცესის გადატანა ციფრულ განზომილებაში და მეტი დეცენტრალიზაცია. კანონმდებლობით რეგულირებული და კარგი გამოცდილების მაგალითებთან ერთად შესაძლებელია მუნიციპალურ დონეზე შემოღებული იყოს მოქალაქეთა მონაწილეობის ახალი ფორმები და პრაქტიკები. ამ შესაძლებლობას იძლევა საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ რომლის 85-ე მუხლის პირველივე პუნქტში ვკითხულობთ: ,,მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის

ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში, მათ შორის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის".

იმავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით: „მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ამ კანონით განსაზღვრული ფორმების გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას".

მოყვანილი მუხლები, ერთი მხრივ, მუნიციპალიტეტს აკისრებს ვალდებულებას, მონაწილეობისთვის შექმნას შესაბამისი ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები, ხოლო, მეორე მხრივ, იძლევა შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლოს ისეთი ფორმით, რომელიც კანონით არ არის განსაზღვრული, მაგრამ არც ეწინააღმდეგება მას.

მას შემდეგ, რაც განისაზღვრა მუნიციპალიტეტის ვალდებულებაც და შესაძლებლობაც, მნიშვნელოვანია გამოვყოთ მიმართულებები, რა არის საჭირო იმისთვის, რომ მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესი იყოს სრულყოფილი და თან უპასუხოს პანდემიით გამოწვეულ საფრთხეებს. ეს მიმართულებებია: გამჭვირვალობა; ანგარიშვალდებულება; მოქალაქეთა პასუხისმგებლობა.

გამჭვირვალობა - მონაწილეობა ვერ იქნება წარმატებული, თუ მთელი პოლიტიკის დაგეგმვისა და მმართველობის პროცესი არ არის გამჭვირვალე. მთავარი დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც იგეგმება პოლიტიკა და რომლებიც წარმართავს მის ადმინისტრირების პროცესსაც, ეს არის: გრძელვადიანი დაგეგმვის ინსტრუმენტი (სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და დარგობრივი განვითარების გეგმები), საშუალოვადიანი დაგეგმვის ინსტრუმენტი (პრიორიტეტების დოკუმენტი) და მოკლევადიანი დაგეგმვის ინსტრუმენტი (მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი). უპირველესი ამოცანაა, შეიქმნას ამ დოკუმენტების ე.წ. "User friendly" ვერსიები, განთავსდეს ონლაინ-სივრცეში და ამ დოკუმენტებში ნებისმიერი ცვლილება ან მათი მიღების სრული ციკლი მიმდინარეობდეს გამჭვირვალედ, ითვალისწინებდეს მოქალაქეთა კომპიუტერული ტექნოლოგიების ფლობისა და პოლიტიკური დოკუმენტების წაკითხვის უნარებს, აგრეთვე ინტერნეტით სარგებლობის დაფარვის ზონებს. ნებისმიერი ადმინისტრაციული პროცესი, გარდა პირადი, კომერციული და სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული საკითხებისა, უნდა გახდეს მაქსიმალურად საჯარო. იგულისხმება: მუნიციპალური შესყიდვები; ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ხარჯები; ნებართვების გაცემა; საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და სხვ.

პროცესების გამჭვირვალობა და მათი ხელმისაწვდომობა მოქალაქესა და ხელისუფლებას შორის წარმოშობს ნდობას, რომელიც მონაწილეობის ხარისხის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია.

ანგარიშვალდებულება - ნდობის ჩამოყალიბებას, გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობასთან ერთად, აძლიერებს ანგარიშვალდებულება. მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს წევრი პოლიტიკის დაგეგმვასა და მის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი და, ამავდროულად, მოქალაქეებთან ანგარიშვალდებული პირები არიან. მათთან კომუნიკაცია პანდემიამდე და პანდემიის პირობებშიც საკმაოდ რთული პროცესია. არავისთვის არის უცხო,

რომ საქართველოში მუნიციპალური ერთეულები მმართველობის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი რგოლებია. ერთ მერს შესაძლოა მოუწიოს საშუალოდ 55 000 მოსახლის მომსახურება, ხოლო ერთ საკრებულოს წევრს, მაგალითად, 2000 მოსახლის ინტერესებზე ზრუნვა. ასეთი მასშტაბის სამუშაოს გაძღოლა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, იმის გათვალისწინებითაც, რომ მერის ფუნქციების განხორციელებას საკმაოდ დიდი ადმინისტრაციული რესურსი ემსახურება. ეს სირთულე განსაკუთრებით გამძაფრდა პანდემიის პირობებში. ამ მდგომარეობის შემსუბუქების ან მისგან თავის დაღწევის გზაა ონლაინ საკომუნიკაციო არხების შექმნა - მოქალაქეს მერთან ჩაწერის, მის კაბინეტთან ლოდინის გარეშე უნდა შეეძლოს მისთვის კითხვის დასმა, განცხადებით მიმართვა და უმოკლეს დროში პასუხის მიღება ადგილობრივი მნიშვნელობის ნებისმიერ საკითხზე. ადვილად ხელმისაწვდომი და მოქალაქეებთან ანგარიშვალდებული მერი/ საკრებულოს წევრი არის სანდო პარტნიორი მოქალაქისთვის, რათა მას გაუჩნდეს პოლიტიკისა და ადმინისტრირების პროცესში მონაწილეობის სურვილი. ,,მეგობრობას'' მხოლოდ სანდო პარტნიორები იმსახურებენ.

მოქალაქეთა პასუხისმგებლობა - მოქალაქეთა მონაწილეობა არის მხოლოდ პროცესი, მთავარი შედეგი, რისთვისაც გვჭირდება მონაწილეობა - კონსოლიდირებული და თვითორგანიზებული საზოგადოება, პასუხისმგებლიანი მოქალაქე, რომელსაც შესწევს ძალა, იტვირთოს სამეზობლოში, უბანში, სოფელში, ქალაქსა თუ დაბაში არსებული პრობლემების მოგვარება და არ ელოდოს ხსნას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან, თბილისიდან, თუნდაც ვაშინგტონიდან, ბრიუსელიდან ან მოსკოვიდან. მუნიციპალიტეტი, ცენტრალური ხელისუფლება და საერთაშორისო პარტნიორები მხოლოდ პასუხისმგებლიანი მოქალაქისა და თვითორგანიზებული საზოგადოებისთვის წარმოადგენენ დამხმარე ძალას. მოქალაქეებზე უკეთ არავინ უწყის, რა

პრობლემებია გადასაჭრელი ადგილობრივად, და ვინც იცის, რა არის პრობლემის არსი, ის უფრო ეფექტიანად წყვეტს მას. მოვლენების განვითარებამ დაგვანახვა, რომ გამოსავალი ამჯერადაც ისეთი ელექტრონული პლატფორმების შექმნაა, როგორიცაა:

- ელექტრონული პეტიცია;
- კომპიუტერული პროგრამების დანერგვა, მისი მორგება სმარტფონების ოპერაციულ სისტემებზე, სადაც ინტეგრირებული იქნება გამოკითხვები საბიუჯეტო პრიორიტეტებზე, პროგრამებზე, ქვეპროგრამებსა და ღონისძიებების დაგეგმვაზე;
- დასახლების საერთო კრების ციფრული პლატფორმა.[20]

&.3.3 მოქალაქეთა ჩართულობა (გორის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)

გორის მერია მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს დისტანციურ მომსახურებას ახალი ელექტრონული პლატფორმის საშუალებით სთავაზობს. ელექტრონული მმართველობის სისტემა, რომელიც გორის

[20] კიღურაძე კ, (2020), ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის თანამედროვე გამოწვევები, გვ. 5-11ჩთ, https://eecmd.org/wp-content/uploads/2020/12/Policy-Paper_Citizens-engagement-_LSG-web.pdf;

მუნიციპალიტეტში უკვე ამუშავდა, საზოგადოებასა და საჯარო უწყებას შორის თანამშრომლობას მნიშვნელოვნად ამარტივებს.

პროგრამის საშუალებით მოქალაქე მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან შეძლებს გორის მუნიციპალიტეტში განცხადების რეგისტრაციას, საკუთარი იდეის მერისთვის გაცნობას, დეტალური ინფორმაციის მიღებას მუნიციპალიტეტის მიერ განხოციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ, შეძლებს დახმარების ოპერატიულად მიღებას ონლაინ რეჟიმში. წარმოგიდგენთ ვებ-გვერდებს, რომლების საშუალებითაც შეძლებთ აღნიშნული მომსახურეობების მიღებას:

1. განცხადების რეგისტრაცია, მიმართეთ მერიას განცხადებით- ms.gov.ge;
2. მიწერე შენი იდეა ქალაქის მერს - idea.municipal.gov.ge;
3. მუნიციპალური პროექტების მონიტორინგი, გაეცანი პროექტებს - build.municipal.gov.ge;
4. მოქალქეთა ონლაინ დახმარება, ისარგებლე ონლაინ დახმარებით - ms.gov.ge.

„მეტი ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა, შემცირებული დრო და ხარჯები, სწრაფი უკუკავშირი, თანამონაწილეობის გაძლიერების ხელშეწყობა, ერთიანი ელექტრონული მმართველობის სისტემის უპირატესობებია. სისტემა ასევე იძლევა ერთი ფანჯრის პრინციპით ერთი მუნიციპალიტეტის მომსახურების სხვა მუნიციპალიტეტში მიღების შესაძლებლობასაც, რაც კიდევ უფრო ზრდის მომსახურების ხელმისაწვდომობას. აღნიშნული სისტემის დანერგვის მიზნით, გორის მუნიციპალიტეტში სამ ეტაპიანი პროექტი 7 თვის განმავლობაში ხორციელდებოდა.

ელექტრონული პლატფორმის მიზანი მოქალაქებისთვის ხარისხიანი და კომფორტული მოსახურების მიწოდებაა.“ - აღნიშნა ბიზნეს ანალიტიკოსმა ირმა სეხნიაშვილი, რომელიც გორის მუნიციპალიტეტში ერთიანი საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვის პროცესს უძღვებოდა. პროექტს თბილისის მერიის ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო (MSDA), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაკვეთითა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ახორციელებს.[21]

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო მერის 2018 წლის 9 ივლისს #3838 ბრძანებით დამტკიცდა და გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის 14 ადამიანის შემადგენლობით, მათ შორის 8 მამაკაცი და 6 ქალია: 1.ნუგზარ მაჭავარინი; 2. დარეჯან მურადაშვილი; 3. გალაქტიონ ხარაბაძე; 4. ზაურ საგანელიძე; 5. ნინო გორგაძე; 6. ნინო ყანჩაველი; 7. ქეთევან ბებიაშვილი; 8. იოსებ ალიმბარაშვილი; 9. მაია ბოლაშვილი; 10. მალხაზ გოჩაშვილი; 11. ელენე უთნელიშვილი; 12. გიორგი ქარელი; 13. ვალერი სუხიშვილი; 14. ზაურ გოგიშვილი. საბჭოს თავჯდომარეა ნუგზარ მაჭავარიანი, ხოლო საბჭოს მდივანი დარეჯან მურადაშვილი, რომლებიც არჩეულ იქნენ მრჩეველთა საბჭოს პირველ სხდომაზე ხმათა უმრავლესობით.

საბჭოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული, სოციალური და სხვა მნიშვნელოვანი პროექტების, ასევე, ბიუჯეტის განხილვა საკრებულოში წარდგენამდე და რეკომენდაციების შემუშავება. საბჭოს საქმიანობის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა, მერსა და

---

21 მოძიებული.(18.06.2021)https://www.facebook.com/media/set/?vanity=CityHallofGori&set=a.3520756448007394

მოსახლეობას შორის მჭიდრო ურთიერთობის უზრუნველყოფა, მოქალაქეთა ინტერესების წარმოდგენა და დაცვა მერის საქმიანობაში. მერის სათათბირო ორგანო სამოქაალაქო მრჩეველთა საბჭო საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად მერის უფლებამოსილების ვადით შეიქმნა. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათისაა და სავლდებულო ძალა არ აქვს.[22]

საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა - 2020 წლის ანგარიში[23]

სამოქალაქო ბიუჯეტი	38 პროექტი	298 000 ლარი
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების პროგრამა	32 პროექტი	544 000 ლარი
კულტურული ღონისძიებების თანადაფინანსების პროგრამა	5 პროექტი	32 750 ლარი
სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	3 პროექტი	32 995 ლარი
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	120 პროექტი	159 600 ლარი
განათლების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამა	4 პროექტი	30 500 ლარი
სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამა	10 პროექტი	212 063 ლარი

[22] მოძიებული (20.06.2021) http://gori.gov.ge/galerea/mrchevelta-sabtcho1/323-goris-meriashi-samoqalaqo-mrchevelta-sabtchos-pirveli-sxdoma-gaimarta.html;

[23] მოძიებული (20.06.2021); https://www.facebook.com/media/set?vanity=CityHallofGori&set=a.3636546126428425.

ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობის და თანადაფინანსების პროგრამა	7 პროექტი	22 250 ლარი

დასახლების საერთო კრება:

ა) განიხილავს შესაბამისი დასახლებისთვის მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს. ქ. გორის მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად ამზადებს შესაბამის წინადადებებს;

ბ) იღებს ინფორმაციას დასახლების მცხოვრებთა სოციალური საჭიროებების შესახებ და შეიმუშავებს წინადადებებს ქ. გორის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების დაგეგმვის პროცესში;

გ) ახორციელებს ქ. გორის მუნიციპალური პროგრამების მონიტორინგს დასახლების ტერიტორიაზე და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;

დ) შეიმუშავებს დასახლებაში ქ. გორის მუნიციპალური ტრანსპორტის ორგანიზებასთან დაკავშირებით;

ე)ქმნის დასაქმების მსურველთა ბაზას და ახორციელებს დასახლებაში ადამიანური რესურსების შესწავლას;

ვ) შუამდგომლობს ქ. გორის მუნიციპალიტეტთან დასახლებაში საშეშე მერქნის განაწილების თაობაზე;

ზ) განიხილავს და ქ.გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენს რეკომენდაციებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის თაობაზე;

თ) ქ. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენს დასახლების განვითარების პრიორიტეტების დოკუმენტს;

ი) იხილავს და ქ. გორის მუნიციპალიტეტს აწვდის რეკომენდაციებს დასახლებაში განსახორციელებელი პროექტების შესახებ;

კ) შეიმუშავებს წინადადებებს დასახლებაში კულტურული ობიექტების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით;

ლ) შეიმუშავებს წინადადებებს დასახლებაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ორგანიზებასთან დაკავშირებით;

მ) ახორციელებს სასმელი და სარწყავი წყლის მიწოდების მონიტორინგს;

ნ) შეიმუშავებს წინადადებებს დასახლებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეაბილიტაციის, საზოგადოებაში ინტეგრაციის, თანაბარი შესაძლებლობებისა და ადაპტირებული გარემოს შექმნის მიმართულებით;

ო) განიხილავს შესაბამის დასახლებაში განსახორციელებელ პროექტებს ქ. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მათ ასახვამდე და მუნიციპალიტეტის ორგანოებს წარუდგენს დასაბუთებულ შენიშვნებსა და წინადადებებს;

პ) განიხილავს ქ.გორის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განსახორციელებულ პროექტებს. ქ. გორის მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად ამზადებს შესაბამის შენიშვნებსა და წინადადებებს;

ჟ) ორგანიზებას უწევს შესაბამისი დასახლებისთვის მნიშვნელოვანუ საკითხების გადაწყვეტაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას და საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისთვის მიმართავს ქ. გორის მუნიციპალიტეტის ორგანოებს;

რ) იღებს გადაწყვეტილებას ქ.გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის პეტიციის წარდგენის შესახებ;

ს) ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის მერის ან საკუთარი ინიციატივით განიხილავს დასახლების საზღვრების დადგენისა-შეცვლის საკითხებს და ამზადებს შესაბამის წინადადებებს;

ტ) ქ.გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის წარდგინებით, ან საკუთარი ინიციატივით განიხილავს დასახლების ტერიტორიაზე არსებული ქონების ქ. გორის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანის საკითხს და ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურს წარუდგენს საკუთარ შენიშვნებს;

უ) განიხილავს ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საერთო კრებაზე ინიციირებულ საკითხს;

ფ) უფლებამოსილების ფარგლებში დავალებებს აძლევს რჩეულს;

ქ) საერთო კრების ცალკეულ უფლებამოსილებათა შესრულებას ავალებს რჩეულს;

ღ) ახორციელებს კანონითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.[24]

[24] ქ.გორის საკრებულოს დადგენილება #3 (04.01.2016), (მოძიებული 25.06.2021)

გორის მუნიციპალიტეტში საერთო კრებები ჩატარებულია მხოლოდ სოფლის პროგრამის ფარგლებში და არა ქალაქ გორში. მოსახლეობა საერთო კრების მეშვეობით განიხილავს განსახორციელებელ პროექტს. დგება საერთო კრების ოქმები, რომლებიც ინახება გორის მუნიციპალიტეტის მერიის არქივში. თუმცა არსად იტვირთება ელექტრონული ფორმით.

მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მიმართონ გორის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით და გამოითხოვონ მოსახლეობის საერთო კრების ოქმები.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მოქალაქეების მონაწილეობას მოქალაქეებს გორის საკრებულოს ოფიციალური ვებ გვერდის gori.mun.gov.ge-ის საშუალებით აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ განრიგს საკრებულოს სხდომებთან დაკავშირებით და დაესწრნონ ამა თუ იმ პროექტისა თუ კანონპროექტის ან საკითხის განხილვას.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ რომ, დღეს ჩვენ გვაქვს კარგი საკანონმდებლო ბაზა, კანონი არ გვზღუდავს გამოვიყენოთ მოქალაქეთა ჩართულობის არსებული ფორმების გარდა სხვა ფორმებიც. მაგალითად, როგორიც არის გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა ჩართულობის ფორმა - მიწერე შენი იდეა მერს. მთავარია არ გადავუხვიოთ კანონის ჩარჩოებს. მოქალაქეებს არ აქვთ გაცნობიერებული თავიაანთი უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა იყვნენ აქტიური მოქალაქეები და გამოიყენონ მათ ხელთ არსებული კონტროლის მექანიზმი. სახელმწიფოსა და მოქალაქის შორის ნდობა ნაკლებია. მოქალაქეების ნაკლები ინფორმირებულობა, სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ნდობის ნაკლებობა და რა თქმა უნდა სურვილის არ ქონა წვლილი ჩეიტანონ

---

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3147596?publication=0.

მოქალაქეებმა თავისი მუნიციპალიტეტის განვითარებაში, ეს ის მიზეზებია, რომლებიც მოქალაქეთა ჩართულობის დაბალ მაჩვენებელს განაპირობებს. არ ხდება საჯარო ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსება მაგალითისთვის, გორის მუნიციპალიტეტის მერიას არ აქვს გამოქვეყნებული მოსახლეობის საერთო კრების ოქმები, რაც საჯარო ინფორმაციაა და არ უნდა იყოს დააარქივებული. თუ ოფიციალური განცხადებით არ მივმართავთ გორის მუნიციპალიტეტის მერიას ვერ ვნახავთ რა თანმიმდევრობით ტარდება დასახლების საერთო კრებები და ესეც მხოლოდ სოფლის პროექტის ფარგლებში ჩატარებულ საერთო კრებებს ეხება. ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი ადგილობრივ თვითმმართველობას სრულყოფილი და დემოკრატიული თვითმმართველობის ჩამოყალიბებამდე, თუმცაღა მიმდინარეობს ამ მიმართულებით მუშაობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შავლაშვილი ლ, (2016), (რედ) სიმონიშვილი ი, სამაგიდო წიგნი საკრებულოს წევრებისათვის, მოძიებული (18.04.21), თბილისი. https://civilin.org/pdf/sakrebulo.pdf.
2. პირველაშვილი ნ, (2017), ადგილობრივი თვითმმართველობის უმთავრესი პრობლემები საქართველოში, მოძიებული (18.04.21). https://civicuscela.wordpress.com/2017/04/09/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94/.
3. ლოსაბერიძე დ, კანდელაკი კ, აბულაძე მ, კონჯარია ო, (2016), ადგილობრივი თვითმმართველობა, მოძიებული (24.04.21)- https://droa.ge/wp-content/uploads/2018/02/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83

%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90.pdf.

4. ჭიჭინაძე. ა, (12.2018), ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პრობლემები საქართველოში, აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი, მოძიებული(25.04.2021), https://www.researchgate.net/publication/330005688_adgilobrivi_tvitmmartvelobebis_ganvitarebis_problemebi_sakartveloshi.
5. ზეინაშვილი ა, (2014წ), ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის კომენტარები (საქართველოს ორგანული კანონი), მოძიებული (25.04.2021), http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/102439/1/AdgilobriviTvitmmartvelobisKomentarebi.pdf.
6. ბუროუსი გ, აბაშიძე ზ, მუხიგული ქ, დუნდუა ს, ქარაია თ, (რედ) მაცაბერიძე მ, ჯავახიშვილი ლ, დემოკრატია და მოქალაქეობა-საკითხავი მასალა სტუდენტებისთვის (მესამე გამოცემა), (2020წ).
7. (10.30.2019წ) სამოქალაქო განათლება ყველასათვის, მოქალაქე, როლი და პასუხისმგებლობა I თავი გაკვეთილი 9 მოძიებული. (16.05.2021წ) https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-9.
8. ციურიხის პედაგოგიური უნივერსიტეტი, living demokracy, (2015წ), უფლებები, თავისუფლებები და პასუხისმგებლობები, მოძიებული (26.05.2021წ), https://www.living-democracy.ge/textbooks/volume-3/part-2/unit-5/.
9. პასუხისმგებლიანი მოქალაქეობა: მახასიათებლები და მაგალითები, მოძიებული (26.05.2021), https://ka.warbletoncouncil.org/ciudadania-responsable-7871#menu-3.
10. მაღლაკელიძე შ, მალაზონია დ, ლობჟანიძე ს, ბურდული გ, (რედ). (2018წ), სამოქალაქო გნათლება და დემოკრატია საქართველოში, გამოწვევები და განვითარების გზები, თბილსი, მოძიებული (02.06.2021წ) https://cure.erasmus-plus.org.il/pluginfile.php/3588/mod_resource/content/1/Curricular%20Reform%20For%20Democratic%20Principles%20and%20Civic%20Education%20in%20Georgia.pdf
11. ბურდული გ, მაღლაკელიძე შ, მალაზონია დ, (რედ), (2019 წ), საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის-აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობა, თბილისი, მოძიებული (05.06.2021წ) https://cure.erasmus-plus.org.il/pluginfile.php/3651/mod_resource/content/2/Promoting%20Active%20Citizenship%20-Kit%20in%20Georgian%20Language.pdf
12. მოძიებული. (15.06.2021წ) https://youthagency.gov.ge/.
13. საქარღველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, თავი XI https://matsne.gov.ge/ka/doblication=55cument/view/2244429?pu.

14. კიღურაძე კ, (2020წ), პოლიტიკის დოკუმენტი, ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის თანამედროვე გამოწვევები, https://eecmd.org/wp-content/uploads/2020/12/Policy-Paper_Citizens-engagement-_LSG-web.pdf.
15. მოძიებული.(18.06.2021წ) https://www.facebook.com/media/set/?vanity=CityHallofGori&set=a.3520756448007394.
16. მოძიებული (20.06.2021წ) http://gori.gov.ge/galerea/mrchevelta-sabtcho1/323-goris-meriashi-samoqalaqo-mrchevelta-sabtchos-pirveli-sxdoma-gaimarta.html.
17. მოძიებული (20.06.2021წ); https://www.facebook.com/media/set?vanity=CityHallofGori&set=a.3636546126428425.
18. ქ.გორის საკრებულოს დადგენილება #3 (04.01.2016წ), მოძიებული (25.06.2021წ) https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3147596?publication=0.